# წლის წიგნი 2014-2015

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION

№4 საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარებული ჩემპიონატები და ღონისძიებები



## საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

2015 წელი ქართული კალათბურთისთვის გამორჩეული იყო. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველად, არსებობის ისტორიაში ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში იასპარეზა და მერვედფინალში ლიტვის ნაკრების დამარცხებამდე მცირედი დააკლდა. ჩვენი ნაკრების ეს წარმატება იყო უნიკალური ქართული კალათბურთის ისტორიაში და ჩვენი გუნდი მოტივირებულია საიმისოდ, რომ 2017 წლის ევრობასკეტზე გავიდეს და იქ ყველა შედეგი გააუმჯობესოს.

ეროვნული ნაკრები არ არის მხოლოდ ქართული კალათბურთის სახე საერთაშორისო ასპარეზზე. ფედერაცია წარმატებით ახორციელებს პროექტებს ასაკობრივ ჩემპიონატებსა და სუპერლიგაში. საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა მეტი ხიბლი და ინტერესი შეიძინა მას შემდეგ, რაც მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ჩვენი პროგრამის განხორციელება დაიწყო.

გასული წლის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ პირველი, ისტორიული „ა" ლიგის გათამაშება, რომელმაც საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატს მეტი კონკურენცია და ინტერესი შესძინა.

ფუნდამენტური გახლდათ ორი ახალი, ვაჟთა ასაკობრივი ნაკრების საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა - 2001 და 2002 წლებში დაბადებულთა ნაკრებები ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში ასპარეზობენ და პერსპექტიული მოზარდები სეზონის განმავლობაში უდიდეს გამოცდილებას იღებენ.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 2015 წელს საერთაშორისო ასპარეზზე პირველად იასპარეზა ჩვენი ქვეყნის გოგონათა ასაკობრივმა ნაკრებმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო თბილისში ჩატარებულ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე.

წარმატებულად გააცნეს თავი ევროპასა და მსოფლიოს ქართველმა 3X3 კალათბურთელებმა. 18-წლამდელთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ჩვენი კონტინენტისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე.

საქართველოში პირველად ჩატარდა მასშტაბური საკალათბურთო კემპი, რომელსაც ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, „ლაბორალ კუჩას" წარმომადგენლები გაუძღვნენ და რომელშიც 180-მა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა.

რთულია ყველა იმ პროექტისა და ღონისძიების ჩამოთვლა, რომელსაც კალათბურთის ეროვნული ფედერაცია ახორციელებს. წლიდან წლამდე იზრდება ღონისძიებებისა და ჩემპიონატების რიცხვი, რაც ქართული კალათბურთის განვითარების მთავარი საწინდარია.

გვსურს ჩვენი ერთწლიანი მუშაობის ანგარიში წარმოგიდგინოთ ჟურნალის სახით, რომელსაც ფედერაცია უკვე მეოთხედ გამოსცემს.

**მიხეილ გაბრიჩიძე**

# საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2014-2015 წლის სეზონის შემაჯამებელი ჟურნალი

ჟურნალი სარეკლამო მიზნებისთვის უსასყიდლოდ ვრცელდება


**ჟურნალის გამოცემა უზრუნველყო:**

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია

**კომპანია ბორჯომი**
ეროვნული ნაკრების გენერალური პარტნიორი

**აუდიტური კონცერნი ცოდნისა**
კალათბურთის ფედერაციის სპონსორი

**საგამომცემლო ჯგუფი:**
ნინო გურული, თამუნა რუაძე
ირაკლი პერტაია, ლაშა მიქაუტაძე

**დიზაინერი:**
მარიამ რუსიშვილი

**ჟურნალში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები:**

საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი

ოფიციალური ვებ-გვერდი

კალათბურთის ფედერაციის, სუპერლიგის, ა-ლიგის და ასაკობრივი ჩემპიონატების ოფიციალური ვებ-გვერდები

www.gbf.ge
www.superleague.ge
www.a-league.ge
www.u-20.ge
www.u-18.ge
www.u-16.ge

**ფოტოები:**
ხატია ჯიჯეიშვილი
ლაშა კუპრაშვილი
ბადრი კეთილაძე
ნინო ხაბაძე
ალექსი აფციაური
მარიამ ნიშნიანიძე
გიორგი არჯევანიძე
ირაკლი პერტაია
ლაშა მიქაუტაძე

ISSN 23467533


## სარჩევი


საკალათბურთო კემპი — 4
საქართველოს ეროვნული ნაკრები — 6
საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები — 16
საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები — 20
საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები — 24
საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები — 26
საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრები — 28
3X3 კალათბურთში საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები — 30
საქართველოს XXIV ეროვნული ჩემპიონატი (სუპერლიგა) — 36
ა ლიგა — 44
საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი — 50
საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი — 56
საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი — 66
საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატი — 76
საქართველოს 13-წლამდელთა ჩემპიონატი — 80
საქართველოს ქალთა ჩემპიონატი — 84
მინი კალათბურთი — 88
დუდუ დადიანის მემორიალი — 96
ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი — 100
საქართველოს თასი — 104
საქართველოს ქალთა თასი — 108
ALL STAR — 110
სუპერთასი — 118
საქართველოს ჩემპიონატი 3X3 კალათბურში — 122
მემორანდუმები — 126
ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი — 128
სხვადასხვა ღონისძიებები — 130
საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირი — 144
თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი — 146
ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი — 152
ჩემპიონატებსა და ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდები წლების მიხედვით — 154

# პირველი მასშტაბური კემპი



## TRAINING CAMP GEORGIA 2015

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და ცნობილი სპორტული კომპანია „სასკი ბასკონიას" ერთობლივი პროექტის ფარგლებში თბილისში გრანდიოზული საკალათბურთო კემპი გაიმართა. ღონისძიებაში, რომელიც „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე 13 აპრილს დაიწყო და 2 კვირა გასტანა, მთლიანობაში 180 მოზარდი მონაწილეობდა. პროექტის მიზანი პერსპექტიული მოთამაშეების გამოვლენა და მათი შემდგომი პროგრესის მიზნით ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო საკალათბურთო კლუბში მივლინება იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი მასშტაბური საკალათბურთო კემპი საქართველოში პირველად ჩატარდა.

კომპანია „სასკი ბასკონია" ესპანეთის უმაღლეს ლიგასა და ევროლიგაში მოასპარეზე „ლაბორალ კუჩასა" და ბავშვთა საკალათბურთო სკოლების მფლობელია. აღნიშნულ სკოლებში აღზრდილი კალათბურთელები როგორც ევროპის, ისე ნბა-ს წამყვან გუნდებში თამაშობენ.

„დინამოს" ბაზაზე თავდაპირველად 180-მა მოზარდმა მოიყარა თავი, რომლებიც 1998-2002 წლებში იყვნენ დაბადებულნი. ერთ კვირიანი ვარჯიშების შემდეგ კემპის მონაწილეთა რაოდენობა განახევრდა და დაახლოებით 80-მა ახალგაზრდამ ესპანელი მწვრთნელების ხელმძღვანელობით წვრთნა კიდევ 1 კვირით განაგრძო. კემპის ჩასატარებლად თბილისში 8 ესპანელი სპეციალისტი ჩამოვიდა, რომლებმაც სპეციალური ინვენტარი ჩამოიტანეს და ახალგაზრდა ქართველ მოთამაშეებს თანამედროვე მეთოდებით ავარჯიშებდნენ. სტუმრებს ახლდათ ფსიქოლოგიც, რომელიც კემპის ყველა მონაწილეს პირადად გაესაუბრა და მათ შესაბამისი სემინარ-ტესტირება ჩაუტარა.

კემპის მსვლელობისას „დინამოს" ბაზას ესტუმრა და მიმდინარე ვარჯიშები მოინახულა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა. მინისტრის სტუმრობისას კემპის მონაწილეთა შორის საჩვენებელი მატჩი გაიმართა, რომლის დასრულების





# საქართველოში BASKONIA



შემდეგ ლევან ყიფიანი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივან გიორგი ქართველიშვილთან ერთად ახალგაზრდა კალათბურთელებს და კემპის მომსახურე ქართველ და ესპანელ მწვრთნელებს გაესაუბრა. მინისტრმა მათთან ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღო და ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელებს, ასევე მწვრთნელებს წარმატება უსურვა.

ვარჯიშები 24 აპრილს დასრულდა, რის შემდეგაც „დინამოს" ბაზაზე პრეს-კონფერენცია გაიმართა, სადაც იმ 16 კალათბურთელის ვინაობა დასახელდა, რომლებმაც ივნისის თვეში „სასკი ბასკონიას" კემპზე მონაწილეობა მიიღეს. ესპანურ კემპზე თავი გამოიჩინა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრმა ნიკა დარბაიძემ, რომელსაც „ლაბორალ კუჩამ" კონტრაქტი გაუფორმა.

**მოთამაშეები**

| | | დაბ.წელი | ნომ. კემპზე |
|---|---|---|---|
| 1 | ნიკა დარბაიძე | 1998 | 35 |
| 2 | გიორგი კუჭავა | 1999 | 11 |
| 3 | ნიკა კუნჭულია | 1999 | 22 |
| 4 | ნიკა კეკელიძე | 2000 | 12 |
| 5 | დავით კაკუშაძე | 2000 | 31 |
| 6 | ლევან გელაშვილი | 2000 | 2 |
| 7 | გიორგი გახოკიძე | 2000 | 17 |
| 8 | საბა გიგიბერია | 2001 | 12 |
| 9 | ირაკლი სულხანიშვილი | 2001 | 34 |
| 10 | ლაშა მიქელაძე | 2001 | 22 |
| 11 | რატი ანდრონიკაშვილი | 2001 | 1 |
| 12 | ბექა ბექაია | 2001 | 2 |
| 13 | დაჩი ქავთარაძე | 2001 | 30 |
| 14 | გიორგი ქეიშვილი | 2001 | 7 |
| 15 | ვლადიმერ თავაქარაშვილი | 2002 | 37 |
| 16 | ირაკლი კილაძე | 2002 | 17 |



# თბილისის მერიის თასი

ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის თბილისის მერიის თასი წარმოადგენს. აღნიშნული ამხანაგური ტურნირი 2009 წლიდან იმართება და საქართველოს ნაკრების მნიშვნელოვანი ღონისძიებების - კონტინენტის პირველობისა და მისი საკვალიფიკაციო ტურნირების წინ ტარდება.

თბილისის მერიის თასის 2015 წლის გათამაშება ყველა წინამორბედზე წარმომადგენლობითი იყო. საქართველოს დედაქალაქს ესტუმრა კონტინენტის ერთ-ერთი წამყვანი, იტალიის ნაკრები, რომელიც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 3 წამყვანი კალათბურთელით იყო გაძლიერებული. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოწვევას დათანხმდა საკმაოდ ძლიერი ლატვია და რიგითი ესტონეთი. ეს უკანასკნელი თბილისის მერიის თასის პერმანენტული სტუმარია.

საერთაშორისო ტურნირს თბილისის სპორტის სასახლე კარგად მომზადებული შეხვდა. მერიის თასის ორგანიზატორებმა სტუმრებს დარბაზში მოწესრიგებული და სასიამოვნო ატმოსფერო დაახვედრეს. ტურნირიც საინტერესო გამოვიდა. კალენდრის მიხედვით საქართველო და იტალია ერთმანეთს ტურნირის ბოლო, მე-3 დღეს ხვდებოდნენ და ორგანიზატორთა გათვლამ, რომ ეს იქნებოდა ფინალის ტოლფასი მატჩი, გაამართლა.

საქართველომაც და იტალიამაც ტურნირის საწყისი 2 მატჩი მოიგეს და ერთმანეთს 16 აგვისტოს, ფინალის სწორ მატჩში დაუპირისპირდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა სადებიუტო მატჩში ესტონეთი 90:55 გაანადგურა, ხოლო იტალიელებმა ლატვიას 19 ქულით - 82:63 მოუგეს. მეორე ტურში „სკუადრა აძურა" ესტონეთს გაუსწორდა (85:61), ხოლო საქართველომ, რომელიც თამაშის მანძილზე 12-14 ქულით ამარცხებდა ლატვიას, საბოლოოდ მხოლოდ 2 ქულით იმარჯვა - 78:76.

მატჩი, რომელსაც თბილისის მერიის თასის მფლობელი უნდა გამოევლინა, სტუმართა უპირატესობით წარიმართა. იტალიის ნაკრებმა მთელი თამაში მაღალ დონეზე ჩაატარა. სიმონე პიანიჯანის გუნდი დაცვაშიც კარგად თამაშობდა და შეტევაშიც. სტუმრები თითქმის უშეცდომოდ ესროდნენ როგორც ახლო, ისე შორი დისტანციებიდან. თავის მხრივ, ქართველებიც შედეგიანად უტევდნენ და პირველ ტაიმში საკმაოდ ბევრი - 40 ქულა ჩააგდეს, თუმცა მეტოქე მეტი შედეგიანობით გამოირჩა და სტუმრები დიდი შესვენებისთვის 52:40 დაწინაურდნენ.

მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. იტალიელები შედეგიან თამაშს აგრძელებდნენ და სოლიდურ უპირატესობას ინარჩუნებდნენ. საქართველოს ნაკრებს ჰქონდა დადებითი ეპიზოდები და ჩამორჩენას ამცირებდა, თუმცა 10 ქულაზე დაბლა იტალიელთა ლიდერობა არ ჩამოსულა.

მატჩი ისე დასრულდა, იტალიელთა მოგებას საფრთხე არ დამუქრებია. საბოლოოდ



საქართველოს ეროვნული ნაკრები





სკუადრა აძურამ 20 ქულის სხვაობით მოიგო და თბილისის მერიის თასის გამარჯვებული გახდა. მატჩის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. მეორე ადგილზე გასული საქართველოს ნაკრები ვეტერანმა კალათბურთელმა ნიკოლოზ დერიუგინმა და თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა გიორგი არეშიძემ დააჯილდოვეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველომ" სამახსოვრო პრიზი დააწესა, რომელიც იტალიელთა ერთ-ერთ ლიდერ დანილო გალინარის აღნიშნული კომპანიის პრეზიდენტმა დავით გიორგობიანმა გადასცა. რაც შეეხება ჩემპიონთა დაჯილდოვებას, თბილისის მერიის თასი იტალიელთა კაპიტან ლუიჯი დატომეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და თბილისის მერის მოადგილე ლევან ლექვინაძემ გადასცეს.



# TROPHY TOUR

ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი თასი, რომელიც 2015 წლის 20 სექტემბერს ჩემპიონმა ესპანეთმა ჩაიბარა, 17-18 ივლისს თბილისში იმყოფებოდა. ფიბა-ევროპამ ევრობასკეტის პოპულარიზაციის მიზნით აქცია წამოიწყო სახელად "ტროფი ტური", რომლის ფარგლებშიც ნიკოლაი სემაშკოს სახელობის თასმა მთელს კონტინენტზე იმოგზაურა.

წინასწარი განრიგის მიხედვით სემაშკოს თასმა ევროპის კონტინენტი შემოიარა. თბილისი მე-10 გაჩერება იყო და საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ საჩემპიონო თასს ღირსეული დახვედრა მოუწყო. ქართული ტროფი ტურის ფარგლებში თასმა, რომლის წონაც 18 კილოგრამი გახლავთ და მრავალი ძვირფასი თვლითაა მოპირკეთებული, ძველი თბილისი, აბანოთუბანი, თავისუფლების მოედანი და დედაქალაქის სხვა ცენტრალური თუ ღირშესანიშნავი ადგილები შემოიარა. ევრობასკეტის თასს უმასპინძლა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში არსებულმა ქართული სპორტის მუზეუმმა, სადაც ის სხვადასხვა ადამიანთან ერთად სპორტის მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა მოინახულეს. მეორე დღეს, 18 ივლისს ევროსაჩემპიონო თასი „თბილისი მოლში" გამოიფინა, სადაც 3X3 კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩატარდა. ფინალამდე სემაშკოს თასი მცხეთაში, სვეტიცხოველსა და ჯვრის მონასტერში იმყოფებოდა. საქართველოს ძველ და ახალ დედაქალაქებში მოგზაურობისას ევრობასკეტის თასთან უამრავმა ადამიანმა გადაიღო სამახსოვრო სურათი.

საქართველოს 3X3 ჩემპიონატის ფინალური ტურნირის გახსნის ცერემონიალზე ევროსაჩემპიონო თასი ღონისძიებაზე მიწვეულმა საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა გამოიტანეს, შემდეგ კი ის ევრობასკეტის სარეკლამო სტენდის წინ განთავსდა და გულშემატკივართა თუ უბრალოდ გამვლელთა დაკვირვებისა და სელფების გადაღების ობიექტი გახდა.



კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი



საქართველოს ეროვნული ნაკრები





# EUROBASKET 2015

■ 2015 წლის ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მესამე კონტინენტური პირველობა იყო. სერბი სპეციალისტის, იგორ კოკოშკოვის მეთაურობით ქართველები ზედიზედ მესამედ გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და პირველად მოიპოვეს პლეიოფში თამაშის უფლება.

საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან გასვლით მოახერხა და ევრობასკეტზე ერთ-ერთი საუკეთესო მატჩიც სწორედ პლეიოფში ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ კოკოშკოვის გუნდმა ევროპის ერთ-ერთ გრანდთან და შემდეგ ფინალში გასულ ლიტვასთან მეოთხედფინალი წააგო, ჩვენების თამაშზე აუგს ვერავინ იტყვის. მატჩისთვის განკუთვნილი დროის უდიდეს ნაწილში საქართველოს ნაკრები ლიტვას ამარცხებდა და რიგ მომენტებში, ჩვენების უპირატესობა 10 ქულას აღწევდა.

ქართველებმა დამაჯერებლად, გააზრებულად ითამაშეს ნაკრებთან, რომელიც ევროპის მოქმედი ვიცე-ჩემპიონი გახლდათ და ამჯერადაც ამ სტატუსით დაასრულა ევროპირველობა. ლიტვამ საქართველო იმ შეცდომების გამო დაამარცხა, რის გარეშეც საკალათბურთო მატჩები არ ტარდება. განსხვავება ის იყო, რომ გამოცდილმა ლიტველებმა ოდნავ ნაკლები შეცდომა დაუშვეს და საბოლოოდ 4 ქულის სხვაობით - 85:81 იმარჯვეს.

არადა, ევროპის ჩემპიონატი ქართველებისთვის უხეიროდ დაიწყო. მიიჩნეოდა, რომ ჰოლანდია ჯგუფის აუტსაიდერი იყო და შესაბამისად, ჩვენი კონკურენტიც, რომელთანაც კოკოშკოვის გუნდს აუცილებლად უნდა მოეგო, ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი რომ შეენარჩუნებინა. ქართველებმა ეს ვერ შეძლეს და ევრობასკეტის სადებიუტო მატჩი ჰოლანდიასთან 1 ქულით - 72:73 დათმეს. პირველად მოხდა, რომ ევროპირველობა საქართველომ წაგებით დაიწყო. 2011 და 2013 წლებში ჩვენებმა ევროპის ჩემპიონატები შესაბამისად ბელგიის და პოლონეთის ნაკრებების დამარცხებით დაიწყეს.

ჰოლანდიასთან უიღბლო მატჩის შემდეგ ჩვენს ნაკრებს 2 მძლავრი მეტოქე ჰყავდა სლოვენიისა და საბერძნეთის სახით. სლავებთან მატჩი კარგად კი დაიწყეს, თუმცა შემდეგ ქართველები ჩამორჩნენ, რისი მიზეზიც სლოვენიელთა ზუსტი შორი სროლები და იღბლიანი უკანახაზელი, კლემენ პრეპელიჩი გახლდათ. ეს უკანასკნელი მეორე მეოთხედში პერსონალურებით დახუნძლული ზორან დრაგიჩის ნაცვლად გამოვიდა და აღნიშნულ პერიოდში 4 სამქულიანი ჩააგდო.

მეორე ტაიმში სლოვენიელთა ლიდერობამ 20 ქულას მიაღწია და ცხადი გახდა, რომ ქართველები ველარ იმარჯვებდნენ. საბოლოოდ კოკოშკოვის გუნდმა 11 ქულით - 68:79 წააგო. ზუსტად ამ ანგარიშით დათმო საქართველომ საბერძნეთთან მომდევნო შეხვედრაც, რის შემდეგაც ჯგუფში ჩარჩენის მთავარ კანდიდატად იქცა. მომდევნო ტურში კოკოშკოვის გუნდს აუცილებლად უნდა დაემარცხებინა მაკედონია, თანაც მინიმუმ 5 ქულით, რაც ქართველებმა გადაჭარბებით შეასრულეს. საქართველომ ექსიუგოსლაველები 90:75 დაამარცხა და იმის იმედად იყო, რომ ბოლო ტურში ჰოლანდია საბერძნეთთან წააგებდა.

სანამ ქართველებისთვის ზემოთაღნიშნული საკვანძო შეხვედრა გაიმართებოდა, კოკოშკოვის გუნდმა ევრობასკეტზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ვინმე რიგითი კი არა, მასპინძელი ხორვატიის ნაკრები დაამარცხა. გამართული და მიზანმიმართული თამაშის წყალობით საქართველომ ხორვატების დამაჯერებლად - 71:58 დამარცხება მოახერხა და ევროპის ჩემპიონატზე საკუთარი იმიჯი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა.

პირველად, ევროპირველობის ისტორიაში ჩემპიონატი სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა. ჯგუფურ ეტაპს ოთხმა ქვეყანამ - გერმანიამ, ლატვიამ, საფრანგეთმა და ხორვატიამ უმასპინძლა. კენჭისყრამ საქართველოს ხორვატიის ჯგუფი არგუნა, რომელიც კოკოშკოვის გუნდმა წარმატებით დაძლია და მეოთხედფინალის სათამაშოდ საფრანგეთის ქალაქ ლილში გაფრინდა. ლილის მულტიფუნქციურ, პიერ მაროს სახელობის სტადიონზე გამართულ ევრობასკეტის მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრებმა საკუთარ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, მომავალ ფინალისტ ლიტვასთან ბოლო წამებზე, დრამატულ ბრძოლაში წააგო და უმაღლესი ევროპული ფორუმი ღირსეულად დატოვა.








## მწვრთნელები



**ავთანდილ ბერიძე** – ფიზ-მომზადების მწვრთნელი

**ჯეისონ სტაუდტი** – ასისტენტი

**კონსტანტინე ტულუში** – ასისტენტი

**იგორ კოკოშკოვი** – მთავარი მწვრთნელი

**დავით უსტიაშვილი** – ასისტენტი

**მილოშ გლიგორიევიჩი** – ასისტენტი

**ტიხომირ ბოიანი** – ასისტენტი

## ექიმები



**ზაქრო უვარიძე** – მასაჟისტი

**თეიმურაზ ხვედელიძე** – ექიმი (ფიზიოთერაპევტი)

**ზურაბ სულეიმანაშვილი** – ექიმი

## მენეჯერები



**პაატა ლობჟანიძე** – გენერალური მენეჯერი

**გივი სანაძე** – მენეჯერი





## შემადგენლობა



## შედეგები

| 05.09.15 | ხორვატია, საფრანგეთი | 15:00 |
|---|---|---|
| | ანგ | |
| საქართველო | 72 | |
| ჰოლანდია | 73 | |
| 06.09.15 | | 18:00 |
| | ანგ | |
| სლოვენია | 79 | |
| საქართველო | 68 | |
| 08.09.15 | | 18:00 |
| | ანგ | |
| საქართველო | 68 | |
| საბერძნეთი | 79 | |
| 09.09.15 | | 18:00 |
| | ანგ | |
| მაკედონია | 75 | |
| საქართველო | 90 | |
| 10.09.15 | | 18:00 |
| | ანგ | |
| საქართველო | 71 | |
| ხორვატია | 58 | |
| 13.09.15 | მერვედფინალი | 18:00 |
| | ანგ | |
| ლიტვა | 85 | |
| საქართველო | 81 | |

## სატურნირო ცხრილი

| | გუნდი | თამაში | მ/წ | ბურთები | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საბერძნეთი | 5 | 5/0 | 387/340 | 10 |
| 2 | ხორვატია | 5 | 3/2 | 359/343 | 8 |
| 3 | სლოვენია | 5 | 3/2 | 367/356 | 8 |
| 4 | საქართველო | 5 | 2/3 | 369/364 | 7 |
| 5 | მაკედონია | 5 | 1/4 | 324/381 | 6 |
| 6 | ჰოლანდია | 5 | 1/4 | 355/377 | 6 |

EUROBASKET 2015
FRANCE CROATIA GERMANY LATVIA

## გუნდის ლიდერები

| მოთამაშე | კატეგორია | საშუალო |
|---|---|---|
|  თორნიკე შენგელია | ქულა | 15,5 |
|  ზაზა ფაჩულია | მოხსნა | 6,3 |
|  გიორგი ცინცაძე | პასი | 4,3 |
|  თორნიკე შენგელია | ჩაჭრა | 1,7 |
|  ვიქტორ სანიკიძე | დაფარება | 1,0 |
|  ვიქტორ სანიკიძე | წუთი | 31,7 |

## შემადგენლობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 0 | ჯეიკობ პულენი | უკანახაზელი | ილიონისი | 1.89 | 10.11.1989 |
| 4 | ნიკა მეტრეველი | ფორვარდი | თბილისი | 2.11 | 14.01.1991 |
| 7 | ზაზა ფაჩულია | ცენტრი | თბილისი | 2.11 | 10.02.1984 |
| 8 | გიორგი ცინცაძე | უკანახაზელი | თბილისი | 1.92 | 07.02.1986 |
| 9 | გიორგი შერმადინი | ცენტრი | მცხეთა | 2.16 | 02.04.1989 |
| 10 | დუდა სანაძე | ფორვარდი | თბილისი | 1.96 | 25.07.1992 |
| 11 | მანუჩარ მარკოიშვილი | უკანახაზელი | თბილისი | 1.96 | 17.11.1986 |
| 12 | ლევან ფაცაცია | უკანახაზელი | თბილისი | 1.98 | 24.09.1988 |
| 13 | ვიქტორ სანიკიძე | ფორვარდი | თბილისი | 2.03 | 01.04.1986 |
| 15 | ბექა ბურჯანაძე | ფორვარდი | თბილისი | 2.03 | 03.01.1994 |
| 23 | თორნიკე შენგელია | ფორვარდი | თბილისი | 2.07 | 05.10.1991 |
| 25 | ბესიკ ლეჟავა | უკანახაზელი | თბილისი | 1.92 | 21.02.1986 |

## საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

| | თ | წ | თ/ნ | | 2-ქულიანი | | 3-ქულიანი | | საჯ. | | მოხსნა | | | პას | ფაკ | ჩ | დ | პფ | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | მ | ს | ჯამ | | | | | პ | მ | |
| თ. შენგელია | 6 | 30.8 | 5.8/11.3 | 51.5 | 5.5/9.5 | 57.9 | 0.3/1.8 | 18.2 | 3.5/5.0 | 70.0 | 1.3 | 3.8 | 5.2 | 3.0 | 1.3 | 1.7 | 0.5 | 3.3 | 5.2 | 15.5 |
| ზ. ფაჩულია | 6 | 26.7 | 4.5/9.5 | 47.4 | 4.5/9.5 | 47.4 | 0.0/0.0 | 0.0 | 4.5/5.3 | 84.4 | 1.5 | 4.8 | 6.3 | 3.0 | 3.5 | 1.0 | 0.3 | 3.2 | 5.0 | 13.5 |
| მ. მარკოიშვილი | 6 | 27.7 | 3.8/8.3 | 46.0 | 1.7/3.0 | 55.6 | 2.2/5.3 | 40.6 | 0.5/0.8 | 60.0 | 0.2 | 2.2 | 2.3 | 1.7 | 1.0 | 0.5 | 0.2 | 3.0 | 2.3 | 10.3 |
| ვ. სანიკიძე | 6 | 31.7 | 3.0/6.8 | 43.9 | 2.2/4.3 | 50.0 | 0.8/2.5 | 33.3 | 1.7/2.0 | 83.3 | 1.5 | 4.3 | 5.8 | 1.5 | 1.3 | 0.0 | 1.0 | 2.8 | 3.3 | 8.5 |
| გ. ცინცაძე | 6 | 29.0 | 2.8/5.7 | 50.0 | 1.7/2.5 | 66.7 | 1.2/3.2 | 36.8 | 1.2/1.2 | 100.0 | 0.0 | 1.2 | 1.2 | 4.3 | 3.3 | 0.7 | 0.0 | 3.2 | 2.3 | 8.0 |
| ჯ. პულენი | 6 | 20.2 | 2.3/7.2 | 32.6 | 1.2/3.5 | 33.3 | 1.2/3.7 | 31.8 | 1.3/1.3 | 100.0 | 0.2 | 1.0 | 1.2 | 1.7 | 1.0 | 0.3 | 0.0 | 1.7 | 1.7 | 7.2 |
| დ. სანაძე | 6 | 12.0 | 2.3/4.0 | 58.3 | 1.2/2.2 | 53.8 | 1.2/1.8 | 63.6 | 0.3/0.3 | 100.0 | 0.0 | 0.8 | 0.8 | 1.2 | 1.0 | 0.5 | 0.3 | 1.8 | 0.3 | 6.2 |
| გ. შერმადინი | 6 | 13.3 | 1.3/1.7 | 80.0 | 1.3/1.7 | 80.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 2.3/3.0 | 77.8 | 0.7 | 1.5 | 2.2 | 0.5 | 0.7 | 0.7 | 0.7 | 1.5 | 1.8 | 5.0 |
| ბ. ბურჯანაძე | 6 | 6.3 | 0.3/1.5 | 22.2 | 0.2/0.8 | 20.0 | 0.2/0.7 | 25.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.2 | 0.3 | 0.5 | 0.2 | 0.5 | 0.0 | 0.0 | 0.7 | 0.2 | 0.8 |
| ლ. ფაცაცია | 3 | 5.3 | 0.0/0.7 | 0.0 | 0.0/0.3 | 0.0 | 0.0/0.3 | 0.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.7 | 0.0 | 0.0 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2.2 | 1.5 | 3.7 | | 0.3 | | | 0.0 | 0.0 | |
| სრული | 6 | | 26.3/56.3 | 46.7 | 19.3/37.2 | 52.0 | 7.0/19.2 | 36.5 | 15.3/19.0 | 80.7 | 7.7 | 21.5 | 29.2 | 17.2 | 14.0 | 5.3 | 3.0 | 21.5 | 22.2 | 75.0 |









# 20-წლამდელთა ნაკრები

ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონში მონაწილე 18 გუნდს შორის საქართველოს ნაკრებმა მე-11 ადგილი დაიკავა. ტურნირის სტარტისა და იმ თაობის გათვალისწინებით, რაც ამ ნაკრებშია თავმოყრილი, აღნიშნულ შედეგს ურიგო ნამდვილად არ ეთქმის.

არსებობს ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშეებით დახუნძლული თაობები, მაგრამ ამავდროულად არის ასაკები, სადაც დიდად პერსპექტიული კალათბურთელი სანთლით საძებარია. სწორედ ასეთ კატეგორიას განეკუთვნებიან 1995-1996 წლიანები. წინა ხაზში რომ სათანადო მოთამაშეები არ ჰყავდა, მწვრთნელმა, დავით უსტიაშვილმა გუნდში 1997 წელს დაბადებულ გიორგი ტურძილაძეს უხმო, თუმცა მხოლოდ ამან ვერ გამოასწორა ჩვენი ნაკრების შეტევითი თუ დაცვითი პოტენციალი.

9-დან 19 ივლისის ჩათვლით უნგრეთის ქალაქ სეკეშფეხერვარში გამართულ ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები მონტენეგროს, ლუქსემბურგის, პორტუგალიის და კოსოვოს ნაკრებები იყვნენ. ქართველებმა ჩამოთვლილ ნაკრებთან წააგეს და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. მხოლოდ პორტუგალიის ნაკრებთან იყო დაძაბული მატჩი, რომელიც ქართველებმა 2 ქულით (55:57) დათმეს, დანარჩენ მეტოქეებთან კი უსტიაშვილის გუნდმა ისე წააგო, წარმატების რეალური შანსი არ ჰქონია.

ასეთი წარუმატებელი სტარტის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა თავისი მაქსიმუმი გააკეთა და დარჩენილი ყველა მატჩი მოიგო. ეს კი იმას ეყო, რომ ქართველებს მე-11 ადგილი დაეკავებინათ. ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ბრძოლა IX-XVIII ადგილებისთვის განაგრძო და A ჯგუფიდან ვერგასულ გუნდებთან - ავსტრიასთან და რუმინეთთან ერთად საკვალიფიკაციო ჯგუფში გაერთიანდა.

უსტიაშვილის განწვრთნილმა 20-წლამდელთა ნაკრებმა ორივე მეტოქე იოლად დაამარცხა. ჯერ იყო და ავსტრია 91:67 გაანადგურა, შემდეგ კი რუმინეთს 20-ქულიანი მარცხი აწვნია. საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველო არ შეხვდა პორტუგალიასა და კოსოვოს, რომლებსაც პირველ ეტაპზე ეთამაშა და ის შედეგები საკვალიფიკაციოში გადაჰყვა. შესაბამისად, ქართველებმა ჯგუფში პორტუგალიის შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავეს და ტურნირის მე-11 ადგილისთვის მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მე-9 ადგილისთვის შეხვედრაში ერთმანეთს პორტუგალია და მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფის გამარჯვებული სლოვაკეთი დაუპირისპირდნენ.

ტურნირის ბოლო მატჩი ქართველებმა სომხეთის ნაკრებთან მძიმედ დაიწყეს და პირველი პერიოდის შემდეგ 10 ქულით ჩამორჩნენ. სომხებს კონკურენტუნარიანი ნაკრები არასდროს ჰყოლიათ და აქამდე ევროპის უმდაბლეს - C დივიზიონში თამაშობდნენ. ახლა კი ამ ქვეყანამ სომხური ფესვების მქონე კალათბურთელები რუსეთში გამონახა და 3 ძლიერი მოთამაშის დამატებით ევროპის საშუალო გუნდებში გაერია.

ქართველებმა პირველ მეოთხედში ნაგებული 10 ქულა ხომ გაუბათილეს და მეორე ტაიმში სომხეთი უკანაც მოიტოვეს. საბოლოოდ დავით უსტიაშვილის განწვრთნილმა 20-წლამდელთა ნაკრებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ მეზობლებს 88:78 სძლია და როგორც თავში მოგახსენეთ, ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონი მე-11 ადგილზე დაასრულა.

მომავალ, 2016 წელს 20-წლამდელთა ნაკრებს ასაკის გამო რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდება და შევსებას 18-წლამდელებიდან მიიღებს.



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

## შედეგები

| თარიღი | უნგრეთი | ანგ. | დრო |
|---|---|---|---|
| 10.07.15 | საქართველო | 75 | 13:30 |
| | ლუქსემბურგი | 98 | |
| 11.07.15 | პორტუგალია | 57 | 15:45 |
| | საქართველო | 55 | |
| 12.07.15 | საქართველო | 67 | 20:15 |
| | კოსოვო | 77 | |
| 13.07.15 | მონტენეგრო | 100 | 18:00 |
| | საქართველო | 59 | |
| 15.07.15 | ავსტრია | 67 | 15:45 |
| | საქართველო | 91 | |
| 16.07.15 | რუმინეთი | 74 | 13:30 |
| | საქართველო | 97 | |
| 29.07.15 | საქართველო | 88 | 18:00 |
| | სომხეთი | 78 | |

## სატურნირო ცხრილი

| | გუნდი | თამაში | მ/წ | ბურთები | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მონტენეგრო | 4 | 4/0 | 333/224 | 8 |
| 2 | ლუქსემბურგი | 4 | 3/1 | 333/284 | 7 |
| 3 | პორტუგალია | 4 | 2/2 | 237/256 | 6 |
| 4 | კოსოვო | 4 | 1/3 | 254/315 | 5 |
| 5 | საქართველო | 4 | 0/4 | 254/332 | 4 |
| | **გუნდი** | **თამაში** | **მ/წ** | **ბურთები** | **ქულა** |
| 1 | პორტუგალია | 4 | 3/1 | 238/219 | 7 |
| 2 | საქართველო | 4 | 2/2 | 305/275 | 6 |
| 3 | კოსოვო | 4 | 2/2 | 272/266 | 6 |
| 4 | ავსტრია | 4 | 2/2 | 273/300 | 6 |
| 5 | რუმინეთი | 4 | 3/1 | 281/309 | 5 |

## გუნდის ლიდერები

| კატეგორია | საშუალო | მოთამაშე |
|---|---|---|
| ქულა | 12.4 | ლევან შასხულია |
| მოხსნა | 5.4 | შაიზერ რევაზაშვილი |
| პასი | 3.7 | ლუკა ზაქრაძე |
| ჩაჭრა | 2.7 | ნუგზარ აბულაძე |
| დაფარება | 2.2 | გიორგი ტურძილაძე |

## შემადგენლობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | ნუგზარ აბულაძე | უკანახაზელი | თბილისი | 1.85 | 14.06.1995 |
| 4 | ალექსანდრე ბოლქვაძე | ფორვარდი | თბილისი | 1.97 | 27.03.1995 |
| 7 | სანდრო სანაძე | უკანახაზელი | თბილისი | 1.85 | 13.11.1995 |
| 8 | კახაბერ ტომარაძე | ფორვარდი | თბილისი | 1.98 | 13.04.1995 |
| 9 | შაიზერ რევაზაშვილი | ცენტრი | გორი | 2.07 | 19.12.1996 |
| 10 | ლუკა ზაქრაძე | უკანახაზელი | თბილისი | 1.92 | 10.04.1996 |
| 11 | არჩილ პულუზაშვილი | ცენტრი | თბილისი | 2.05 | 03.09.1995 |
| 13 | უჩა გამრეკლიძე | ცენტრი | დონის როსტოვი, რუსეთი | 2.03 | 28.01.1995 |
| 14 | სოსო მაქავარიანი | ფორვარდი | საჩხერე | 1.98 | 14.05.1996 |
| 16 | ლევან შასხულია | ფორვარდი | თბილისი | 1.98 | 27.04.1996 |
| 33 | ნიკოლოზ ლომიძე | ფორვარდი | თბილისი | 1.90 | 18.11.1996 |
| 37 | გიორგი ტურძილაძე | ცენტრი | თბილისი | 2.04 | 21.10.1997 |

## საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

| | თ | წ | თ/ზ | | 2-ქულიანი | | 3-ქულიანი | | საჯ | | მოხსნა | | | პას | დაკ | ჩ | დ | პფ | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | შ | ს | ჯამ | | | | | ვ | მ | |
| ლ. შასხულია | 7 | 24.3 | 4.1/8.9 | 46.8 | 2.7/4.9 | 55.9 | 1.4/4.0 | 35.7 | 2.7/3.7 | 73.1 | 1.6 | 3.4 | 5.0 | 0.7 | 1.3 | 1.1 | 0.0 | 1.1 | 3.9 | 12.4 |
| ლ. ზაქრაძე | 7 | 28.4 | 3.7/11.4 | 32.5 | 3.1/7.9 | 40.0 | 0.6/3.6 | 16.0 | 3.7/4.9 | 76.5 | 0.9 | 3.3 | 4.1 | 3.7 | 4.3 | 2.0 | 0.3 | 2.3 | 4.7 | 11.7 |
| ნ. აბულაძე | 7 | 29.0 | 3.6/10.0 | 35.7 | 1.4/3.6 | 40.0 | 2.1/6.4 | 33.3 | 1.1/1.7 | 66.7 | 0.3 | 2.9 | 3.1 | 3.6 | 3.4 | 2.7 | 0.1 | 2.0 | 3.7 | 10.4 |
| გ. ტურძილაძე | 6 | 28.5 | 4.5/9.7 | 46.6 | 4.5/9.3 | 48.2 | 0.0/0.3 | 0.0 | 0.8/1.3 | 62.5 | 1.5 | 3.5 | 5.0 | 0.8 | 1.7 | 0.8 | 2.2 | 2.8 | 1.2 | 9.8 |
| შ. რევაზაშვილი | 7 | 22.0 | 3.1/6.7 | 46.8 | 1.1/3.1 | 36.4 | 2.0/3.6 | 56.0 | 0.7/0.9 | 83.3 | 1.3 | 4.1 | 5.4 | 0.6 | 0.9 | 0.7 | 0.9 | 2.6 | 1.3 | 9.0 |
| კ. ტომარაძე | 6 | 22.7 | 3.0/6.7 | 45.0 | 1.7/3.0 | 55.6 | 1.3/3.7 | 36.4 | 1.5/2.5 | 60.0 | 0.7 | 3.5 | 4.2 | 1.7 | 2.3 | 1.0 | 1.0 | 3.0 | 1.8 | 8.8 |
| ს. სანაძე | 7 | 18.4 | 2.9/7.3 | 39.2 | 1.9/3.3 | 56.5 | 1.0/4.0 | 25.0 | 0.4/0.7 | 60.0 | 0.9 | 0.9 | 1.7 | 1.9 | 1.3 | 0.9 | 0.0 | 2.4 | 1.4 | 7.1 |
| ა. პულუზაშვილი | 6 | 11.5 | 1.5/3.3 | 45.0 | 1.6/3.2 | 47.4 | 0.0/0.2 | 0.0 | 0.7/1.0 | 66.7 | 2.2 | 3.2 | 5.3 | 0.5 | 0.8 | 0.3 | 0.7 | 1.3 | 0.8 | 3.7 |
| ა. ბოლქვაძე | 7 | 9.9 | 1.1/2.6 | 44.4 | 1.0/1.9 | 53.8 | 0.1/0.7 | 20.0 | 0.4/0.6 | 75.0 | 0.1 | 0.4 | 0.6 | 0.4 | 1.0 | 0.3 | 0.0 | 1.3 | 0.4 | 2.9 |
| უ. გამრეკლიძე | 4 | 10.8 | 1.0/2.5 | 40.0 | 1.0/2.5 | 40.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.8/1.8 | 42.9 | 1.8 | 3.3 | 5.0 | 0.3 | 0.5 | 0.0 | 0.3 | 2.0 | 1.0 | 2.8 |
| ს. მაჭავარიანი | 5 | 10.8 | 0.6/3.0 | 20.0 | 0.6/1.8 | 33.3 | 0.0/1.2 | 0.0 | 0.2/0.4 | 50.0 | 0.4 | 0.4 | 0.8 | 0.6 | 1.0 | 0.2 | 0.2 | 1.4 | 0.8 | 1.4 |
| ნ. ლომიძე | 1 | 4.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 2.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 |
| გუნდი/მწვრთნელი | | | | | | | | | | | 1.3 | 2.7 | 4.0 | | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | |
| სულ | 7 | | 27.3/67.3 | 40.6 | 18.9/40.6 | 46.5 | 8.4/26.7 | 31.6 | 12.3/17.9 | 68.8 | 11.3 | 28.1 | 39.4 | 14.0 | 17.6 | 9.7 | 4.9 | 20.1 | 19.9 | 75.3 |



უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა
აუდიტური კონცერნი

გამარჯვებული ნაკრების სპონსორი!








შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა" – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების სპონსორი

WWW.TSODNISA.GE



# 18-წლამდელთა ნაკრები

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში მონაწილე 24 გუნდს შორის მე-8 ადგილი დაიკავა, თუმცა ელიტარულ - A დივიზიონში გადასვლამდე მცირედი დააკლდა.

ელიტაში B დივიზიონიდან 3 საუკეთესო ინაცვლებდა, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს კი ნახევარფინალში გასვლამდე 1 მოგება დააკლდა. საკვანძო მატჩში, რომელიც გია კაზანჯიანის გუნდმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე ისრაელთან გამართა და რომლის მოგების შემთხვევაშიც ნახევარფინალში გადიოდა, ქართველებმა დიდი ანგარიშით - 67:107 დათმეს.

18-წლამდელთა ნაკრებში არაერთი იმედისმომცემი ახალგაზრდა თამაშობს და მათი წევრებისგან უნდა შეივსოს მომავალში ეროვნული ნაკრები. კაზანჯიანის გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე დაამტკიცა, რომ ელიტაში გადასვლის ძალა შესწევდა, თუმცა ამის გასაკეთებლად ძალა და მცირე იღბალი დააკლდა.

ქართველებმა პირველი ჯგუფური ეტაპი მომავალ ჩემპიონ შვედეთთან გამანადგურებელი მარცხით - 50:82 დაიწყეს, თუმცა რეაბილიტაცია მალევე მოახერხეს და ჯგუფში დარჩენილი ოთხივე შეხვედრა მოიგეს - შოტლანდია 99:50 გაანადგურეს, სლოვაკეთთან ბეწვის ხიდზე გაიარეს, 70:69 იმარჯვეს. ჯგუფის დასკვნით ორ მატჩში ქართველებმა ჯერ რუმინეთს იოლად - 80:66 მოუგეს, ხოლო ჯგუფიდან გასვლის გადამწყვეტ მატჩში პორტუგალიასთან 2 ქულით - 62:60 იმარჯვეს და დასახული პროგრამის მინიმუმი შეასრულეს.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე ქართველებს შვედეთთან მარცხი გადაჰყვათ, რაც ნახევარფინალში გასვლის ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებდა. საამისოდ კაზანჯიანის გუნდს ორივე მეტოქის - ისლანდიისა და ისრაელის დამარცხება ესაჭიროებოდა. დრამატულ, ძალიან დაძაბულ ბრძოლაში ქართველებმა ისლანდიელები 87:85 დაამარცხეს და როგორც მოგახსენეთ, ნახევარფინალს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ. გადამწყვეტ მატჩში მძლავრ ისრაელთან ქართველებმა უშანსოდ წააგეს და V-VIII ადგილების გასანაწილებელ საკვალიფიკაციო რაუნდში გადაერთვნენ.

ნახევარფინალის მიღმა დარჩენისა და გადატანილი ბრძოლების სიმძიმის შემდეგ გადაღლილმა ქართველებმა დარჩენილი ორივე მატჩი დათმეს და ევროტურნირი მე-8 ადგილზე დაასრულეს. კაზანჯიანის გუნდმა უნგრეთთან 70:75 წააგო, ხოლო ინგლისთან მე-7 ადგილისთვის მატჩი 71:76 დათმო.



საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები



## საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

### შედეგები

ავსტრია

| თარიღი | გუნდი | ანგ | დრო |
|---|---|---|---|
| 23.07.15 | შვედეთი | 82 | 15:45 |
| | საქართველო | 50 | |
| 24.07.15 | საქართველო | 99 | 18:00 |
| | შოტლანდია | 50 | |
| 25.07.15 | სლოვაკეთი | 69 | 15:45 |
| | საქართველო | 70 | |
| 26.07.15 | საქართველო | 80 | 15:45 |
| | რუმინეთი | 66 | |
| 27.07.15 | საქართველო | 62 | 18:00 |
| | პორტუგალია | 60 | |
| 29.07.15 | საქართველო | 87 | 20:15 |
| | ისლანდია | 85 | |
| 30.07.15 | ისრაელი | 107 | 18:00 |
| | საქართველო | 67 | |
| 01.08.15 | უნგრეთი | 75 | 18:00 |
| | საქართველო | 70 | |
| 02.08.15 | საქართველო | 71 | 13:30 |
| | ინგლისი | 76 | |

### სატურნირო ცხრილი

| | გუნდი | თამაში | მ/წ | ბურთები | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვედეთი | 5 | 5/0 | 408/254 | 10 |
| 2 | საქართველო | 5 | 4/1 | 361/327 | 9 |
| 3 | პორტუგალია | 5 | 3/2 | 343/329 | 8 |
| 4 | რუმინეთი | 5 | 2/3 | 333/351 | 7 |
| 5 | შოტლანდია | 5 | 1/4 | 264/375 | 6 |
| 6 | სლოვაკეთი | 5 | 0/5 | 307/380 | 5 |

| | გუნდი | თამაში | მ/წ | ბურთები | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ისრაელი | 3 | 3/0 | 280/220 | 6 |
| 2 | შვედეთი | 3 | 1/2 | 225/198 | 4 |
| 3 | ისლანდია | 3 | 1/2 | 223/240 | 4 |
| 4 | საქართველო | 3 | 1/2 | 204/274 | 4 |

OBERWART
GÜSSING FÜRSTENFELD
23.7.-2.8.2015
U18 EUROPEAN CHAMPIONSHIP MEN DIVISION B AUSTRIA 2015

### გუნდის ლიდერები

| კატეგორია | საშუალო | მოთამაშე |
|---|---|---|
| ქულა | 11.6 | ვლადიმერ ფურცხვანიძე |
| მოხსნა | 8.1 | ვლადიმერ ფურცხვანიძე |
| პასი | 3.1 | დავით აფხაზავა |
| ჩაჭრა | 2.0 | ლუკა ბულაშვილი |
| დაფარება | 0.7 | ვლადიმერ ფურცხვანიძე |

### შემადგენლობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლუკა ბულაშვილი | უკანახაზელი | თბილისი | 1.90 | 03.05.1998 |
| 4 | დავით აფხაზავა | უკანახაზელი | ბათუმი | 1.83 | 02.06.1998 |
| 7 | ლევან გოგალაძე | უკანახაზელი | თბილისი | 1.97 | 16.10.1997 |
| 8 | ვლადიმერ ფურცხვანიძე | ცენტრი | ქუთაისი | 2.05 | 28.04.1998 |
| 11 | გიორგი ცირიკიძე | უკანახაზელი | თბილისი | 2.00 | 18.03.1998 |
| 13 | გიორგი გოგობერიშვილი | ფორვარდი | სალონიკი | 1.97 | 29.03.1997 |
| 14 | ვილი ისიანი | ფორვარდი | თბილისი | 2.02 | 11.08.1997 |
| 15 | ნიკა დარბაიძე | ფორვარდი | გორი | 2.02 | 03.03.1998 |
| 16 | ლევან ბაბილოძე | უკანახაზელი | ბათუმი | 1.97 | 24.07.1998 |
| 17 | ლუკა გიორგაძე | ფორვარდი | თბილისი | 1.97 | 01.01.1997 |
| 31 | დავით ლომიძე | ფორვარდი | თბილისი | 1.96 | 13.01.1997 |
| 40 | გიორგი თვალაბეიშვილი | ცენტრი | თბილისი | 2.08 | 04.03.1998 |

### საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

| | თ | წ | თ/ს | | 2-ქულიანი | | 3-ქულიანი | | საჯ. | | მოხსნა | | | პას | დაკ | ჩ | დ | პფ | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | მ | ს | ჯამ | | | | | პ | მ | |
| ვ. ფურცხვანიძე | 9 | 22.2 | 4.0/6.9 | 58.1 | 4.0/6.8 | 59.0 | 0.0/0.1 | 0.0 | 3.6/4.2 | 84.2 | 2.7 | 5.4 | 8.1 | 0.8 | 2.4 | 1.1 | 0.7 | 2.8 | 3.1 | 11.6 |
| დ. ლომიძე | 8 | 21.9 | 3.9/10.8 | 36.0 | 1.1/2.8 | 40.9 | 2.8/8.0 | 34.4 | 0.9/1.0 | 87.5 | 0.5 | 1.4 | 1.9 | 1.3 | 1.5 | 1.1 | 0.1 | 1.9 | 0.8 | 11.4 |
| ლ. ბულაშვილი | 9 | 25.2 | 3.8/9.8 | 38.6 | 2.2/4.1 | 54.1 | 1.6/5.7 | 27.5 | 1.0/1.4 | 69.2 | 0.9 | 1.1 | 2.0 | 1.2 | 1.6 | 2.0 | 0.0 | 1.1 | 1.2 | 10.1 |
| ვ. ისიანი | 9 | 26.1 | 3.4/8.1 | 42.5 | 2.0/5.0 | 40.0 | 1.4/3.1 | 46.4 | 0.6/0.9 | 62.5 | 1.3 | 6.2 | 7.6 | 1.6 | 1.7 | 0.7 | 0.1 | 1.6 | 1.8 | 8.9 |
| გ. ცირიკიძე | 9 | 18.9 | 2.8/7.3 | 37.9 | 2.6/6.1 | 41.8 | 0.2/1.2 | 18.2 | 2.2/4.6 | 48.8 | 1.0 | 2.1 | 3.1 | 0.9 | 2.1 | 0.9 | 0.1 | 2.3 | 4.9 | 8.0 |
| ლ. გოგალაძე | 9 | 17.1 | 2.2/5.7 | 39.2 | 1.6/3.4 | 45.2 | 0.7/2.2 | 30.0 | 1.8/3.0 | 59.3 | 0.6 | 2.3 | 2.9 | 2.1 | 2.7 | 0.2 | 0.0 | 2.0 | 2.3 | 6.9 |
| გ. გოგობერიშვილი | 9 | 17.0 | 1.9/6.2 | 30.4 | 0.8/1.7 | 46.7 | 1.1/4.6 | 24.4 | 0.7/1.2 | 54.5 | 0.4 | 1.2 | 1.7 | 0.9 | 0.9 | 0.7 | 0.3 | 1.0 | 1.2 | 5.6 |
| დ. აფხაზავა | 9 | 19.6 | 1.2/4.1 | 29.7 | 0.9/2.9 | 30.8 | 0.3/1.2 | 27.3 | 1.4/2.0 | 72.2 | 0.8 | 2.2 | 3.0 | 3.3 | 2.4 | 1.0 | 0.0 | 1.7 | 2.2 | 4.2 |
| ნ. დარბაიძე | 9 | 14.2 | 1.1/2.1 | 52.6 | 1.1/1.9 | 58.8 | 0.0/0.2 | 0.0 | 0.8/1.2 | 63.6 | 1.4 | 2.6 | 4.0 | 0.4 | 0.7 | 0.6 | 0.2 | 1.2 | 1.2 | 3.0 |
| ლ. ბაბილოძე | 7 | 6.6 | 1.1/2.7 | 42.1 | 1.1/2.7 | 42.1 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.4/0.7 | 60.0 | 0.6 | 0.4 | 1.0 | 0.1 | 0.6 | 0.3 | 0.0 | 0.4 | 0.4 | 2.7 |
| გ. თვალაბეიშვილი | 9 | 9.8 | 0.9/2.8 | 32.0 | 0.9/2.4 | 36.4 | 0.0/0.3 | 0.0 | 0.1/0.2 | 50.0 | 0.9 | 1.4 | 2.3 | 0.4 | 1.3 | 0.2 | 0.2 | 0.9 | 0.2 | 1.9 |
| ლ. გიორგაძე | 7 | 7.4 | 0.3/1.3 | 22.2 | 0.3/0.6 | 50.0 | 0.0/0.7 | 0.0 | 0.1/0.6 | 25.0 | 0.6 | 0.4 | 1.0 | 0.4 | 0.7 | 0.4 | 0.0 | 0.9 | 0.4 | 0.7 |
| გუნდი/მწვრთნელი | | | | | | | | | | | 1.4 | 2.4 | 3.8 | | 1.1 | | | 0.1 | 0.0 | |
| სულ | 9 | | 25.9/65.7 | 39.4 | 18.1/39.3 | 46.0 | 7.8/26.3 | 29.5 | 13.3/20.7 | 64.5 | 12.6 | 28.7 | 41.2 | 13.2 | 19.1 | 8.9 | 1.8 | 17.3 | 19.6 | 72.9 |







# 16-წლამდელთა ნაკრები

ასაკობრივ ნაკრებთა შორის ყველაზე წარმატებულად ევროასპარეზზე 16-წლამდელთა ნაკრები გამოვიდა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის განვრთნილმა გუნდმა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში მე-5 ადგილი დაიკავა.

საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს შორის 16-წლამდელებმა ყველაზე კარგი მომზადება გაიარეს. რომ არაფერი ვთქვათ საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირებზე, ჩერქეზიშვილის გუნდს ასპარეზობა მოუწია ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, რომელსაც ივლისის ბოლოს თბილისმა უმასპინძლა. საერთაშორისო, ამხანაგურ ტურნირებზე და თბილისი 2015-ის ფარგლებში ჩატარებულ მატჩებში მიღებული გამოცდილება საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გამოადგა.

მართალია, ჩერქეზიშვილის გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა ბელგიასთან მარცხით დაიწყო, მაგრამ შემდეგ სისწრაფე აკრიფა და ჯგუფის დარჩენილი ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. ქართველებმა შვეიცარიას 83:47 სძლიეს, ლუქსემბურგი 77:43 გაანადგურეს, უნგრელები 55:51 დაამარცხეს და ბოლო ტურში ბელარუსი არ დაინდეს - 85:58.

საქართველოს ნაკრები ჯგუფში ბელგიის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა და მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადაინაცვლა, სადაც ბელგიასთან მარცხი გადაჰყვა და მეტოქეებად D ჯგუფის საუკეთესოები - ესტონეთი და შვედეთი შეხვდა. ესტონეთს ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა და საბოლოოდ დამაჯერებლად მოიპოვა პირველი ადგილი. ქართველებმა ბალტიისპირელებს დიდი ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლეს - 63:72 დამარცხდნენ და ნახევარფინალში გასვლის შანსი დაკარგეს. მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ჩერქეზიშვილის გუნდი შვედეთთან 66:80 დამარცხდა და V-VIII ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთო, სადაც ჩვენს მსგავსად პირველი ჯგუფიდან გასული, თუმცა ნახევარფინალამდე ვერ მისული გუნდები ასპარეზობდნენ.

საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველომ მაქსიმუმს მიაღწია. პირველ მატჩში სლოვენიას 71:64 მოუგო და მე-5 ადგილისთვის მატჩში იმ ბელგიას დაუპირისპირდა, რომელთანაც ტურნირის პირველი მატჩი, პირველ ჯგუფურ ეტაპზე წააგო. ქართველებმა ბელგიელებს ღირსეული რევანში აუღეს - 60:43 გაანადგურეს და ევროპის ჩემპიონატი მაჟორულ ნოტაზე, თუმც იმ განცდით დაასრულეს, რომ ელიტარული - A დივიზიონის საგზური მოპოვება შეიძლებოდა. ეს მისია ტურნირის საუკეთესო სამეულმა - ესტონეთმა, პოლონეთმა და შვედეთმა შეასრულეს.



საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

## შედეგები

| თარიღი | | | დრო |
|---|---|---|---|
| 06.08.15 | ბულგარეთი | ანგ | 13:45 |
| | საქართველო | 46 | |
| | ბელგია | 60 | |
| 07.08.15 | | ანგ | 16:00 |
| | შვეიცარია | 47 | |
| | საქართველო | 83 | |
| 08.08.15 | | ანგ | 13:45 |
| | საქართველო | 77 | |
| | ლუქსემბურგი | 43 | |
| 09.08.15 | | ანგ | 18:15 |
| | უნგრეთი | 51 | |
| | საქართველო | 55 | |
| 10.08.15 | | ანგ | 20:30 |
| | ბელარუსი | 58 | |
| | საქართველო | 85 | |
| 12.08.15 | | ანგ | 13:45 |
| | საქართველო | 63 | |
| | ესტონეთი | 72 | |
| 13.08.15 | | ანგ | 13:45 |
| | შვედეთი | 80 | |
| | საქართველო | 66 | |
| 15.08.15 | | ანგ | 13:45 |
| | სლოვენია | 64 | |
| | საქართველო | 71 | |
| 16.08.15 | | ანგ | 16:00 |
| | საქართველო | 60 | |
| | ბელგია | 43 | |

## სატურნირო ცხრილი

| | გუნდი | თამაში | მ/წ | ბურთები | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბელგია | 5 | 5/0 | 357/228 | 10 |
| 2 | საქართველო | 5 | 4/1 | 346/259 | 9 |
| 3 | უნგრეთი | 5 | 3/2 | 312/299 | 8 |
| 4 | შვეიცარია | 5 | 2/3 | 291/356 | 7 |
| 5 | ლუქსემბურგი | 5 | 1/4 | 313/379 | 6 |
| 6 | ბელარუსი | 5 | 0/5 | 277/375 | 5 |
| | გუნდი | თამაში | მ/წ | ბურთები | ქულა |
| 1 | ესტონეთი | 3 | 3/0 | 194/151 | 6 |
| 2 | შვედეთი | 3 | 2/1 | 207/187 | 5 |
| 3 | ბელგია | 3 | 1/2 | 149/175 | 4 |
| 4 | საქართველო | 3 | 0/3 | 175/212 | 3 |




## გუნდის ლიდერები

| კატეგორია | საშუალო | მოთამაშე |
|---|---|---|
| ქულა | 14,2 | გოგა ბითაძე |
| მოხსნა | 8,9 | გოგა ბითაძე |
| პასი | 3,7 | ნიკა ყირიმელი |
| ჩაჭრა | 1,7 | ნიკა ყირიმელი |
| დაფარება | 3,7 | გოგა ბითაძე |

## შემადგენლობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | ნიკა ყირიმელი | უკანახაზელი | თბილისი | 1.85 | 24.06.1999 |
| 6 | ოთარ პერტაია | უკანახაზელი | ხობი | 1.80 | 29.02.2000 |
| 7 | ნიკა მეცხვარიშვილი | ფორვარდი | თბილისი | 1.98 | 10.10.1999 |
| 8 | ბერდია ქავთარაძე | უკანახაზელი | თბილისი | 1.85 | 30.09.1999 |
| 9 | ნიკა ჩეჩელაშვილი | უკანახაზელი | ქუთაისი | 1.92 | 09.10.1999 |
| 10 | ვლადიმერ ალავიძე | ფორვარდი | თბილისი | 1.94 | 29.01.1999 |
| 11 | გოგა ბითაძე | ცენტრი | საგარეჯო | 2.10 | 20.07.1999 |
| 12 | ლევან თავხელიძე | ცენტრი | თბილისი | 2.00 | 06.07.1999 |
| 13 | ვახტანგ გაფრინდაშვილი | ფორვარდი | რუსთავი | 1.92 | 27.04.1999 |
| 15 | ზაურ ჯანელიძე | ფორვარდი | ფოთი | 1.93 | 20.09.1999 |
| 23 | აკაკი ფიფია | უკანახაზელი | მინსკი, ბელარუსი | 1.93 | 20.01.1999 |
| 24 | გიორგი მამალძე | უკანახაზელი | რუსთავი | 1.86 | 12.11.1999 |

## საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

| | თ | წ | თ/წ | | 2-ქულიანი | | 3-ქულიანი | | საჯ. | | მოხსნა | | | პას | დაკ | ჩ | დ | პფ | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | ჩ/ს | % | შ | ს | ჯამ | | | | | ჟ | მ | |
| გ. ბითაძე | 9 | 29.9 | 5.7/13.4 | 42.1 | 5.0/11.4 | 43.7 | 0.7/2.0 | 33.3 | 2.2/4.1 | 54.1 | 2.0 | 6.9 | 8.9 | 1.9 | 2.7 | 1.0 | 3.7 | 2.3 | 4.1 | 14.2 |
| ა. ფიფია | 9 | 21.4 | 4.1/8.4 | 48.7 | 2.7/4.9 | 54.5 | 1.4/3.6 | 40.6 | 1.6/2.7 | 58.3 | 0.4 | 2.1 | 2.6 | 1.2 | 0.9 | 1.4 | 0.3 | 0.8 | 2.4 | 11.2 |
| ზ. ჯანელიძე | 9 | 26.0 | 4.4/9.7 | 46.0 | 4.4/9.4 | 47.1 | 0.0/0.2 | 0.0 | 1.3/2.4 | 54.5 | 2.7 | 4.4 | 7.1 | 1.2 | 1.8 | 0.9 | 0.2 | 1.7 | 2.2 | 10.2 |
| ნ. ჩეჩელაშვილი | 9 | 24.0 | 4.2/7.4 | 56.7 | 3.7/5.1 | 71.7 | 0.6/2.3 | 23.8 | 0.4/0.8 | 57.1 | 0.7 | 2.4 | 3.1 | 1.4 | 2.4 | 1.6 | 0.4 | 2.8 | 1.6 | 9.4 |
| ვ. ალავიძე | 9 | 18.4 | 1.9/4.8 | 39.5 | 1.3/2.4 | 54.5 | 0.6/2.3 | 23.8 | 0.9/1.3 | 66.7 | 0.6 | 2.2 | 2.8 | 1.7 | 2.1 | 0.4 | 0.0 | 1.3 | 1.4 | 5.2 |
| ნ. ყირიმელი | 9 | 21.8 | 1.8/4.9 | 36.4 | 1.2/2.1 | 57.9 | 0.6/2.8 | 20.0 | 0.7/1.7 | 40.0 | 0.9 | 2.1 | 3.0 | 3.7 | 2.8 | 1.7 | 0.2 | 1.7 | 2.4 | 4.8 |
| ნ. მეცხვარიშვილი | 9 | 16.7 | 1.6/3.4 | 45.2 | 1.6/3.2 | 48.3 | 0.0/0.2 | 0.0 | 0.9/1.4 | 61.5 | 3.0 | 2.4 | 5.4 | 0.6 | 1.7 | 0.7 | 0.6 | 1.1 | 1.1 | 4.0 |
| ო. პერტაია | 6 | 7.0 | 1.0/2.3 | 42.9 | 0.5/1.2 | 42.9 | 0.5/1.2 | 42.9 | 0.2/0.3 | 50.0 | 0.2 | 1.5 | 1.7 | 0.8 | 0.7 | 0.8 | 0.0 | 0.8 | 0.5 | 2.7 |
| ლ. თავხელიძე | 5 | 10.2 | 1.2/2.6 | 46.2 | 1.2/2.4 | 50.0 | 0.0/0.2 | 0.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 1.8 | 3.0 | 4.8 | 0.2 | 1.8 | 0.6 | 0.0 | 1.2 | 0.6 | 2.4 |
| ბ. ქავთარაძე | 9 | 16.6 | 0.6/3.1 | 17.9 | 0.2/1.0 | 22.2 | 0.3/2.1 | 15.8 | 0.8/1.1 | 70.0 | 0.1 | 2.4 | 2.6 | 3.7 | 2.7 | 1.0 | 0.2 | 1.9 | 1.6 | 2.2 |
| ვ. გაფრინდაშვილი | 9 | 9.0 | 0.8/2.4 | 31.8 | 0.7/1.8 | 37.5 | 0.1/0.7 | 16.7 | 0.4/0.7 | 66.7 | 0.2 | 0.4 | 0.7 | 0.1 | 1.1 | 0.1 | 0.0 | 1.3 | 0.4 | 2.1 |
| გ. მამალაძე | 6 | 9.3 | 0.3/1.8 | 18.2 | 0.0/0.5 | 0.0 | 0.3/1.3 | 25.0 | 0.2/0.3 | 50.0 | 0.5 | 1.7 | 2.2 | 0.3 | 0.3 | 0.5 | 0.2 | 1.2 | 0.5 | 1.2 |
| გუნდი/მწვრთნელი | | | | | | | | | | | 1.4 | 2.6 | 4.0 | | 0.9 | | | 0.0 | 0.0 | |
| სულ | 9 | | 26.6/61.9 | 42.9 | 21.8/43.9 | 49.6 | 4.8/18.0 | 26.5 | 9.4/16.7 | 56.7 | 13.4 | 31.9 | 45.3 | 16.3 | 20.7 | 10.0 | 5.8 | 16.9 | 18.3 | 67.3 |



# 15-წლამდელთა ნაკრები

15-წლამდელთა ნაკრებებისთვის ფიბა-ევროპას ოფიციალური ტურნირები არ აქვს დაგეგმილი, თუმცა საქართველოში აღნიშნული ასაკობრივი ნაკრები კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ფუნქციონირებს და მისი ძირითადი მოვალეობა, 16-წლამდელთა ნაკრებისთვის კონტიგენტის შერჩევა და მომზადებაა.

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებს ახალგაზრდა მწვრთნელები - ირაკლი ტომარაძე და თემურ კანკია ხელმძღვანელობენ, რომლებმაც აღნიშნულ ასაკში ქვეყნის მასშტაბით პერსპექტიული მოზარდები შეკრიბეს და მონაწილეობა მიიღეს ლატვიაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე.

სანამ ქალაქ ვალმეირას საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებოდა, საქართველოს 15-წლამდელებმა ერთკვირიანი შეკრება ქალაქ მადონაში გაიარეს და 2 სპარინგ-მატჩიც გამართეს. პირველ შეხვედრაში ტომარაძის გუნდმა მადონელები 65:57 დაამარცხა, ხოლო მომდევნო მეტოქე „პარდაუგავას" ქართველებმა გამანადგურებელი მარცხი აგემეს - 94:50.

ამის შემდეგ საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა ვალმეირაში გადაინაცვლა და ტურნირის პირველი მატჩი, 27 აგვისტოს გუნდ „კრეტინგოსთან" ითამაშა. დაძაბულ ბრძოლაში ქართველები 43:49 დამარცხდნენ. ტურნირის დებულების თანახმად 1 გუნდს დღეში 2 მატჩის გამართვა უწევდა და მეორე შეხვედრაში საქართველომ ვალმეირას მეორე გუნდი 91:47 გაანადგურა.

ტურნირის მეორე დღეს ქართველებმა ორივე მატჩი მოიგეს. ჯერ იყო და „იეკაპილსს" დაძაბულ, ოვერტაიმიან ბრძოლაში 81:74 სძლიეს, შემდეგ კი ფინური „კორი" 69:39 დაამარცხეს და ტურნირის მოგების რეალური კანდიდატები გახდნენ.

საერთაშორისო ტურნირის დასკვნით მატჩში საქართველოს ნაკრებს მასპინძელთა ძირითადი გუნდი „ვალმეირა" რომ დაემარცხებინა, დიდი ალბათობით ტურნირის გამარჯვებული გახდებოდა, თუმცა დაძაბულ ბრძოლაში ქართველებმა 58:65 წააგეს და საბოლოოდ მე-3 ადგილს დასჯერდნენ.

ამ ნაკრების უმეტესობას მომავალ, 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში მოუწევს ასპარეზობა, ხოლო შევსებას ტომარაძის გუნდი 14-წლამდელთა ნაკრებიდან მიიღებს.



საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები



Valmiera Summer Cup 2015
Group 2000

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | Points | Place |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Valmiera - A (LV) 2000 | | 2<br>75:49 | 2<br>65:58 | 2<br>58:29 | 2<br>71:53 | 2<br>70:54 | 2<br>70:57 | 12 | I |
| 2 | Kori - 80 Kerava (FIN) | 1<br>49:75 | | 1<br>39:69 | 1<br>44:61 | 2<br>64:61 | 1<br>55:64 | 2<br>80:59 | 8 +6 | VI |
| 3 | Georgian National Team (GE) | 1<br>58:65 | 2<br>69:39 | | 1<br>43:49 | 2<br>20:0 | 2<br>81:74 | 2<br>91:47 | 10 | III |
| 4 | Kretingos SM (LT) | 1<br>29:58 | 2<br>61:44 | 2<br>49:43 | | 2<br>60:42 | 2<br>49:41 | 2<br>101:10 | 11 | II |
| 5 | Moscow Khimki (RUS) | 1<br>53:71 | 1<br>61:64 | 1<br>0:20 | 1<br>42:60 | | 2<br>60:54 | 2<br>63:42 | 8 +3 | IV |
| 6 | Jekabpils (LV) | 1<br>54:70 | 2<br>64:55 | 1<br>74:81 | 1<br>41:49 | 1<br>54:60 | | 2<br>77:46 | 8 +3 | V |
| 7 | Valmiera - B (LV) 2000 | 1<br>57:70 | 1<br>59:80 | 1<br>47:91 | 1<br>10:101 | 1<br>42:63 | 1<br>46:77 | | 6 | VII |



# 14-წლამდელთა ნაკრები

2015 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოში კალათბურთის განვითარებისთვის. საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ხელშეკრულება გააფორმა ევროპის ახალგაზრდულ საკალათბურთო ლიგასთან, რომელშიც ძველი კონტინენტის 26 ქვეყანაა გაერთიანებული.
ეს გახლავთ საკლუბო ლიგა, სადაც ევროპის წამყვან საკალათბურთო გუნდებს თავიანთი ასაკობრივი შემადგენლობები გამოჰყავთ და მოზარდებიც უდიდეს გამოცდილებას იღებენ. საქართველოში ჯერჯერობით არაა ისეთი სოლიდური კლუბები, რომლებიც საკუთარ ასაკობრივ გუნდებს საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობის შანსს მისცემენ, ამიტომაც ეს საქმე კალათბურთის ფედერაციამ იტვირთა და წარმომადგენლობით ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში გუნდის სახით საქართველოს ასაკობრივი, კონკრეტულად კი 14-წლამდელთა ნაკრები გაიყვანა.
საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრები სახელწოდებით „საქართველო 2001" ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში პირველ ჯგუფში მოხვდა. გათამაშების სისტემის თანახმად მონაწილე 17 გუნდიდან ყოველი სამ ეტაპში მონაწილეობდა, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში ტარდებოდა. სამივე ეტაპის შედეგების გათვალისწინებით მოწინავე გუნდები სუპერფინალში გადიოდნენ.

საქართველოს 14-წლამდელთ ნაკრებმა პირველი ეტაპი 20-23 ნოემბერს ესტონეთის ქალაქ ტარტუში ჩაატარა, სადაც 5-დან 2 შეხვედრა მოიგო. მომდევნო ეტაპს რუსეთის დედაქალაქმა უმასპინძლა და ქართველებმა მოსკოვში 5-დან 4 შეხვედრა მოიგეს. შესაბამისად, ნოდარ ქორქიასა და ირაკლი მაისურაძის გაწვრთნილ გუნდს სუპერფინალში გასვლის შანსი გაუჩნდა, თუკი მომდევნო და დასკვნით ეტაპზე წარმატებით იასპარეზებდა.
რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ეტაპს ლატვიის ქალაქმა ვენტსპილსმა უმასპინძლა, სადაც ქართველებმა მოსკოვში ნაჩვენები შედეგი გაიმეორეს: 5-დან 4 შეხვედრა მოიგეს და სუპერფინალში გასვლამდე სულ ცოტა დააკლდათ. ჯამში საქართველოს ნაკრებმა 15 მატჩი გამართა და 10 გამარჯვება მოიპოვა. გამაერთიანებელ ცხრილში ქართველებმა მე-6 ადგილი დაიკავეს და 1 ქულით ჩამორჩნენ მე-4-ზე და პლეი ოფში გასულ ესტონურ „ტარტუს".
დებიუტის კვალობაზე საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრებს ურიგოდ არ უასპარეზია და მომავალ 2015-16 წლების სეზონში ამ გუნდის ადგილს 2002-წლიანები დაიკავებენ, რომლებიც ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში საასპარეზოდ მკაცრი სელექციის შედეგად შეირჩევიან.

## შედეგები

| თარიღი | ადგილი | დრო | გუნდი | ქულა | გუნდი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21.11.14 | ტარტუ, ესტონეთი | 12:00 | აუდენტესი | 67 | საქართველო | 58 |
| 21.11.14 | ტარტუ, ესტონეთი | 18:00 | საქართველო | 69 | HNMKY | 43 |
| 22.11.14 | ტარტუ, ესტონეთი | 13:30 | ტარტუ როკი | 57 | საქართველო | 61 |
| 22.11.14 | ტარტუ, ესტონეთი | 18:00 | საქართველო | 53 | მუკი | 65 |
| 23.11.14 | ტარტუ, ესტონეთი | 10:30 | პერკუნასი | 81 | საქართველო | 48 |
| 16.01.15 | მოსკოვი, რუსეთი | 09:00 | SDJSOR Nr.1 | 35 | საქართველო | 41 |
| 16.01.15 | მოსკოვი, რუსეთი | 15:00 | საქართველო | 62 | რიდზენე | 50 |
| 17.01.15 | მოსკოვი, რუსეთი | 12:00 | ორბიტა | 39 | საქართველო | 48 |
| 17.01.15 | მოსკოვი, რუსეთი | 19:30 | საქართველო | 43 | ტრინტა | 60 |
| 18.01.15 | მოსკოვი, რუსეთი | 10:30 | საბონისის აკადემია | 0 | საქართველო | 20 |
| 27.03.15 | ვენტსპილსი, ლატვია | 10:00 | საქართველო | 72 | ვასილეოსტროვსკაია | 57 |
| 27.03.15 | ვენტსპილსი, ლატვია | 16:00 | ენისეი | 58 | საქართველო | 89 |
| 28.03.15 | ვენტსპილსი, ლატვია | 10:30 | სპარსი | 66 | საქართველო | 64 |
| 28.03.15 | ვენტსპილსი, ლატვია | 16:00 | საქართველო | 76 | გრანდ სპორტი | 32 |
| 29.03.15 | ვენტსპილსი, ლატვია | 10:00 | საქართველო | 92 | პომერანია | 46 |

## გუნდის ლიდერები

| კატეგორია | საშუალო | მოთამაშე |
|---|---|---|
| ქულა | 9.7 | ლაშა მიქელაძე |
| მოხსნა | 8.5 | ლაშა მიქელაძე |
| პასი | 1.7 | ბექა ბექაია |

## სატურნირო ცხრილი

| | გუნდი | თამაში | მ/წ | ბურთები | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პერკუნასი | 15 | 14/1 | 949/577 | 29 |
| 2 | აუდენტესი | 15 | 13/2 | 949/675 | 28 |
| 3 | ტრინტა | 15 | 12/3 | 847/594 | 27 |
| 4 | ტარტუ როკი | 15 | 11/4 | 852/731 | 26 |
| 5 | სპარსი | 15 | 10/5 | 883/719 | 25 |
| 6 | საქართველო 2001 | 15 | 10/5 | 896/756 | 25 |
| 7 | ვასილეოსტროვსკაია | 15 | 8/7 | 796/677 | 23 |
| 8 | მუკი | 15 | 8/7 | 745/695 | 23 |
| 9 | რიდზენე | 15 | 7/8 | 656/719 | 22 |
| 10 | ორბიტა | 15 | 7/8 | 651/658 | 22 |
4-გუნდიანი 4 ჯგუფიდან მერვედფინალში 8 საუკეთესო გუნდი გავიდა. როგორც ჯგუფურ ეტაპზე, ისე პლეი ოფში ძალიან დაძაბული და საინტერესო მატჩები გაიმართა. მეოთხედფინალში გავიდნენ გუნდები ,,ხაშხაშა'', ,,13'', ,,სოხუმი'', ,,მუხბე'', ,,კომბლე'', ,,ტოიოტა'', ,,ბასკო'' და ,,AND 1''. საინტერესო ორთაბრძოლების შედეგად ნახევარფი-ნალში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: 13 - სოხუმი, ტოიოტა - ბასკო.

,,სოხუმმა'' შემადგენლობით - კოტე ტუღუში, ვახტანგ ქადარია, ბექა გოლეთიანი, ბუბა ბერიშვილი - დამაჯერებლად, 21:14 მოუგო გუნდ ,,13''-ს, ხოლო ,,ბასკომ'' (ლაშა კეშელავა, ირაკლი მიქელაძე, ვანო მაისურაძე, ავთანდილ ელიაშვილი) 18:16 დაამარცხა ,,ტოიოტა''.

ფინალური ორთაბრძოლა საინტერესოდ წარიმარ-თა. ,,სოხუმმა'' თავიდანვე ლიდერობა მოიპოვა, ,,ბასკო'' კი ცდილობდა ჩამორჩენის აღმოფხვრას. ბათუმელებმა ეს მოახერხეს კიდეც (13:13), თუმცა სოხუმელებმა ბოლო წუთები შედეგიანად ჩაატარეს და გამარჯვებამდე დამაჯერებლად მივიდნენ - 22:17.

როგორც ყველა მნიშვნელოვან 3X3 საკალათბურთო ღონისძიებას, ,,თბილისი მოლში'' გამართულ ტურნი-რსაც არ ჩაუვლია სამქულიანებისა და ჩატენვების




კონკურსების გარეშე. სნაიპერთა ბრძოლაში მეოთხედფინალში გასული გუნდების თითო წარმომადგენელი და შარშანდელი ჩემპიონატის 3-ქულიანების გამარჯვებული მონაწილეობდნენ, ფინალში საუკეთესო შედეგით აკაკი ლომოური და ლაშა კეშელავა გავიდნენ, სადაც გამარჯვება ბათუმელმა კალათბურთელმა მოიპოვა. ჩატენვების კონკურსში ჟიურის წევრებმა - კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა, საშეჯიბრო დეპარტამენტის უფროსმა ალეკო პეტრიაშვილმა და სუპერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ გამარჯვება დავით მაჭარაძეს მიანიჭეს. მაჭარაძემ ფინალში მაქსიმალური შეფასება დაიმსახურა, როცა ტანმაღალ მიხეილ ჯაჯვანს გადაახტა და ისე ჩატენა. გრიგოლ შვანგირაძემ ქუთაისელის ეფექტურ გდებას უმჯობესი ვერაფერი დაუპირისპირა.

ფინალის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. მეორე ადგილზე გასული ბათუმის „ბასკო" კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 3X3 განყოფილების უფროსმა გიგა გურგენიძემ მედლებით და სიგელებით დააჯილდოვა. ჩემპიონი „სოხუმის" წევრებს სიგელები და მედლები საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალეკო პეტრიაშვილმა გადასცა.

სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული ლაშა კეშელავა სპეციალური პრიზით და სიგელით სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ დააჯილდოვა. კეშელავას გადაეცა სასტუმროების ქსელი „კრისტალისგან" დაწესებული კურორტ ბაკურიანის 3-დღიანი საგზური.

ფინალზე პირველად იყო დაწესებული სიმბოლური პრიზი მსაჯებისთვის მათ მიერ გაწეული სამუშაოსთვის.

TBILISI RUSTAVI KUTAISI TELAVI








ორიგინალური მედლებით ზაზა მაჩალაძე და მიხეილ ვართანოვი გიორგი ზაბახიძემ დააჯილდოვა.

ჩატენვების კონკურსის მომგებმა დავით მაჭარაძემ პრიზი და სიგელი დამსახურებული კალათბურთელის და კლუბ „ქუთაისის" მწვრთნელ მედეა მხეიძისგან ჩაიბარა. მაჭარაძეს სასტუმროების ქსელ „კრისტალისგან" ბაკურიანის 3-დღიანი საგზური ერგო.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ჩემპიონი „სოხუმის" წევრი კოტე ტუღუში, რომელიც პრიზითა და სიგელით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა დააჯილდოვა. ტურნირის MVP-ს გადაეცა ასევე სასაჩუქრე ვაუჩერი ფინალის ოფიციალური მასპინძელი „თბილისი მოლისგან", პრიზი გამარჯვებულს „თბილისი მოლის" წარმომადგენელმა მარიამ ფილფანმა გადასცა. ტუღუშმა დაიმსახურა ასევე აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა ბეთისგან" დაწესებული ფულადი ჯილდო 300 ლარის ოდენობით.

საჩემპიონო თასი „სოხუმის" კაპიტან ბექა გოლეთიანს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა გადასცა, რის შემდეგაც სოხუმელებმა მიიღეს ტურნირის პარტნიორი ტურისტული კომპანია „თრეველინის" მიერ დაწესებული საგზური რუმინეთში, სადაც 15-16 აგვისტოს ევროპის ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.

ბუქარესტში გამგზავრების ვაუჩერი გამარჯვებულებს კომპანია თრეველინის წარმომადგენელმა თორნიკე მდივნიშვილმა გადასცა, რის შემდეგაც ტურნირი ფოიერვერკის თანხლებით დასრულდა.

BATUMI BORJOMI GORI ZUGDIDI

# კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მემორანდუმები პარტნიორ კომპანიებთან

HYUNDAI

■ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია აგრძელებს კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოსთან "თანამშრომლობა.
კომპანია ''ჰიუნდაი'' უკვე 8 წელია აქტიურად მოღვაწეობს ქართულ კალათბურთში და წლების განმავლობაში ის საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთ სტაბილურ პარტნიორად და ქართული კალათბურთის აქტიურ მხარდამჭერად იქცა.
კომპანია ''ჰიუნდაი'' 2009 წლიდან საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების სპონსორია, 2007 წლიდან აქვს ბავშვთა საკალათბურთო სკოლა, მიმდინარე წელს გახდა ისტორიაში პირველი „ა" ლიგის მონაწილე ''სეუ-ჰიუნდაის'' გენერალური სპონსორი, ასევე აქტიურად ეხმარება ვეტერან კალათბურთელებს.
ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს ხელიკ ომპანია ''ჰიუნდაი-ავტო საქართველოს'' დირექტორმა დავით გიორგობიანმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ მოაწერეს.






სახალხო აფთიაქი

■ „სახალხო აფთიაქი" საქართველოს კალათ-ბურთის ეროვნულ ფედერაციასთან აქტიურად თანამშრომლობდა - კომპანია საკალათბურთო სუპერლიგის გენერალური პარტნიორი გახლდათ და ამ სტატუსით 2014-2015 წლების სეზონის განმავლობაშიც ისარგებლა.
„სახალხო აფთიაქისა" და კალათბურთის ფედერაციის თანამშრომლობა სანაკრებო თემასაც შეეხო. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელშეკრულება გააფორმებს, რის საფუძველზეც „სახალხო აფთიაქი" საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების გენერალური სპონსორი გახდა.
ხელშეკრულებას ხელი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და კომპანია „სახალხო აფთიაქის" გენერალურმა დირექტორმა არჩილ მორჩილაძემ მოაწერეს.



საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია

■ სპორტის ფედერაციასა და საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიხედვით გასულ წელს საუნივერსიტეტო ლიგა საუნივერსტიტო სპორტის ფედერაციისა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.
მემორანდუმს ხელი სუპერლიგის საშეჯიბრო დეპარტამენტის უფროსმა ალეკო პეტრიაშვილმა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ლექსო გუგავამ მოაწერეს.
საუნივერსიტეტო ლიგაში 14 უნივერსიტეტის გუნდმა იასპარეზა: თსუ, საავიაციო უნივერსიტეტი, სამედიცი-ნო, გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, ბათუმის საზღვაო აკადემია, აგრარული უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ილია სა-ხელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, ჯიპა, სეუ, გ.თავართქილაძის უნივერსიტეტი, სტუ და საქართველოს უნივერსიტეტი.
სტუდენტური ლიგის გამარჯვებული საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი(სეუ) გახდა, რომელმაც ფინალში სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა.






JOMA

■ 2014-2015 წლების სეზონის სუპერლიგის ტექნიკური პარტნიორი ესპანური სპორტული ბრენდის JOMA -ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, სპორტული სააგენტო SBM გახდა.
პარტნიორობის შესახებ მემორანდუმს ხელი თბილისის სპორტის სასახლეში სუპერლიგის საშეჯიბრო დეპარტამენტის უფროსმა ალეკო პეტრიაშვილმა და სპორტული სააგენტო SBM-ის წარმომადგენელმა ზაალ ჩიტალაძემ მოაწერეს.
მემორანდუმის მიხედვით, მსაჯები და მსაჯ-მდივნები, რომლებიც სუპერლიგას ემსახურებიან, JOMA-ს სპორტული ბრენდით შეიმოსნენ.



■ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრის ინიციატივით, სოციალური პროექტის -„იცხოვრე სპორტით" ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრმა გააფორმა ერთობლივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი წეროვა-ნის N3 საჯარო სკოლას, რაგბის კავშირს, წყალბურთის, ჭიდაობის, კალათბურთის ფედერაციებსა და საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს" შორის.
მემორანდუმის ფარგლებში ოკუპირებული ტერიტო-რიიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ფედერაციების მიერ გამართულ სპორტულ ღონისძი-ებებზე დასასწრები ბილეთები უფასოდ მიიღეს.



# TBILISI-2015

2015 წელი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებისთვის დიდი გამოწვევებით სავსე იყო. გარდა არაერთი საერთაშორისო, ამხნაგურ ტურნირსა და მთავარ, ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში ასპარეზობისა, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ 2000-წლიანთა ნაკრებს თბილისში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს სახელის დაცვა დაეკისრა. ევროფესტივალის 9 სახეობას შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკალათბურთო ტურნირს, რომელშიც ევროპის წამყვანი ქვეყნების ნაკრებები ასპარეზობდნენ. ვაჟებთან ერთად „თბილისი 2015“-ში მონაწილეობა მიიღო 16-წლამდე გოგონათა ნაკრებმა, რომლისთვისაც აღნიშნული ტურნირი პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო არსებობის წელიწადნახევრიან ისტორიაში.

ორივე - გოგონებისა და ვაჟების ტურნირებში 8-8 გუნდი გამოდიოდა. საქართველოს ნაკრებმა ორივე გენდერულ კატეგორიაში ბოლო ადგილი დაიკავა. გოგონებმა ტურნირის ყველა მატჩი წააგეს, ხოლო ვაჟებმა ჯგუფურ ეტაპზე 1 გამარჯვების მოპოვება შეძლეს.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ოლიმპიური თამაშები ბრწყინვალედ დაიწყო და თურქეთის ნაკრებს გამანადგურებელი მარცხი აგემა. ქართველებმა სამხრეთელი მეზობლები 39 ქულით - 89:50 დაჯაბნეს.

საქართველოს ჯგუფში ჰყავდა ტურნირის მომავალი გამარჯვებული - ამ ასაკში კონტინენტის აშკარა ფავორიტი ბოსნია, რომელმაც თბილისში წარმატებული ასპარეზობა მომავალ ევროპის ჩემპიონატზეც გააგრძელა და 16-წლამდელთა შორის „ა“ დივიზიონის გამარჯვებული - ანუ ევროპის ჩემპიონი გახდა.

ბოსნიასთან მატჩი ქართველებმა კარგად ჩაატარეს და მრისხანე მეტოქეს კარგა ხანს უგებდნენ. ბალკანელებმა გარდატეხა მეორე პერიოდის მიწურულს მოახდინეს და დიდ შესვენებაზე 6-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. მესამე და მეოთხე პერიოდები თანაბრად წარიმართა. ქართველები ბოლო წუთამდე ინარჩუნებდნენ წარმატების შანსს, თუმცა ძლიერი მეტოქის ძლევა მაინც ვერ შეძლეს - 74:81.

ეს იყო საქართველოს ნაკრების მაქსიმუმი. ამის







შემდეგ ჩერქეზიშვილის გუნდმა ტურნირზე დარჩენილი ყველა მატჩი წააგო. მათ შორის ბოლო, მე-7 ადგილისთვის მატჩიც, რომელშიც ტურნირის დებიუტში იოლად ძლეულ თურქებს შეხვდნენ. მცირეაზიელებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს 39 ქულით წაგებული მატჩიდან და ქართველებს რევანში აუღეს - 71:63 იმარჯვეს და ტურნირზე ბოლოსწინა ადგილი დაიკავეს.

რაც შეეხებათ გოგონებს - ლელა ცანავას გაწვრთნილმა 16-წლამდელთა ნაკრებმა ტურნირის ყველა შეხვედრა დიდი სხვაობით წააგო. ქართველები აშკარა აუტსაიდერებად ითვლებოდნენ, რადგან გოგონათა კალათბურთს საქართველოში ბოლო წლებში აქტივობა აკლდა. ნაკრების შექმნაც მას მერე გადაწყდა, რაც თბილისმა ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა. ნაკრების თბილისი-2015-ი ასპარეზობამ ბიძგი მისცა გოგონათა კალათბურთს და საქართველომ 2016 წლის ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის C დივიზიონის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, სადაც ჩვენი ნაკრები აუტსაიდერი ნამდვილად არ იქნება.




# 3X3 კალათბურთში ახალგაზრდული ფესტივალი

3X3 კალათბურთში ახალგაზრდულ ფესტივალს სპორტ-კომპლექსმა არენამ უმასპინძლა. ტურნირები 2 ასაკში - 15 და 18 წლამდელებში ჩატარდა, რომელმაც საინტერესოდ ჩაიარა. გამარჯვებისთვის დიდი ბრძოლა გაიმართა, ორგანიზატორთაგან სხვადასხვა პრიზები იყო დაწესებული.

აღსანიშნავია, რომ ტურნირი 3X3 კალათბურთის საერთაშორისო კალენდარში იყო ჩასმული და მასში მონაწილეებმა დამსახურების შესაბამისად სარეიტინგო ქულებიც დაიწერეს. რეიტინგი იმისთვისაა საჭირო, რომ საქართველოს მასშტაბით მეტი ქულა დააგროვო და შესაბამისად, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსი გაიზარდოს.

ამ და კიდევ მომავალ შეჯიბრებათა შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდა საქართველოს ეროვნული გუნდი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში და ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა.

18-წლამდელთა ტურნირი გუნდმა „სოხუმმა" მოიგო, რომელმაც დაძაბულ ფინალში 17:16 დაამარცხა «fantastic four». სოხუმის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვიტალი ცქიფურიშვილი, რომა კვერნაძე, ტატო ზუზაძე და კოტე ბიწაძე. ეს უკანასკნელი ტურნირის საუკეთესო მოთამაშეც გახდა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 3X3 კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელისგან, გრიგოლ გურგენიძესგან სპეციალური პრიზიც ჩაიბარა.

„სოხუმის" გუნდმა ფულადი ჯილდო - 1000 ლარი მოიგო, ხოლო ფინალში დამარცხებულმა გუნდს დათო აფხაზავას, გიორგი ცხოვრებოვის, ნიკა დარბაიძისა და ლუკა გიორგაძის შემადგენლობით 500 ლარი ერგო.

15-წლამდელთა ტურნირის გამარჯვებული გახდა გუნდი «WOW», რომელმაც ფინალურ მატჩში „ორბს" 9:7 სძლია. ტურნირის გამარჯვებულმა გუნდმა 3-4 მაისს იტალიის დედაქალაქ რომში გასამართი საერთაშორისო ტურნირის საგზური მოიგო. 15-წლამდელთა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ჩემპიონი გუნდის ლიდერი ბექა ხაჩიური დასახელდა.

ორივე ტურნირში მთლიანობაში 34-მა გუნდმა იასპარეზა.








# ახალგაზრდული ფესტივალი 3X3 კალათბურთში

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტ-რის და კალათბურთის ფედერაციიის ორგანიზებით მთაწმინდის პარკში ახალგაზრდული ფესტივალი გაიმართა, რომელიც „სეუს" გამარჯვებით დასრულდა.

ფესტივალში მონაწილეობა 16-29 წლის ახალგაზრდებმა მიიღეს, რომლებიც წინასწარი კენჭისყრის შედეგად, ჯგუფური სისტემით შეხვდნენ ერთმანეთს. ფინალურ მატჩში ერთმანეთს გუნდები „სეუ" და „13" შეხვდნენ. საპრიზო ადგილის მფლობელებს „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვ-ნული ცენტრისგან" თასი და მედლები გადაეცათ. I ადგილის მფლობელმა გუნდმა „სეუ"-მ გენერალური სპონსორი კომპანია „ლიდერბეთისგან" 2000 ლარი მიიღო, ხოლო თასით ცენტრის უფროსმა გიგა გაბელაიამ დააჯილდოვა. მედლები და თასი ცენტრის უფროსის მოადგილემ ნინო ვადაჭკორიამ II ადგილზე გასულ გუნდს „13" გადასცა . მათ ფულადი ჯილდო 500 ლარი და აგრეთვე სატრენაჟორო დარბაზისგან "ფიტნეს ჰოლ" აბონიმენტები გადაეცათ. საუკეთესო მოთამაშის წოდება ზვიად ანთაძეს ხვდა წილად. მას 100 ლარიანი ჯილდო გადაეცა, ხოლო ეფექტურ გდებაში გამარჯვებული ბილი ალიევი 200 ლარით დაჯილდოვდა. სამქულიან ტყორცნებში კი, საუკეთესო შედეგი აკაკი ლომოურმა აჩვენა. სპონსორმა კომპანიამ მას 200 ლარი გადასცა.

ახალგაზრდული ფესტივალის ფარგლებში, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მხარდასაჭერად 3X3 კალათბურთის მატჩი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, მინისტრის მოადგილეებმა აკაკი ლოდიამ, შალვა გოგოლაძემ და რევაზ ჯაველიძემ, აგრეთვე სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა.




# ქართულ-ამერიკული პროექტი

ქართულ-ამერიკული პროექტის ეგიდით მთაწმინდის პარკმა 3X3 კალათბურთში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრში მონაწილეობა ამერიკის გოგონათა და ვაჟთა ასაკობრივმა გუნდებმა მიიღეს, რომელთან ერთადაც ტურნირში რუსთავისა და თბილისის გუნდებმა იასპარეზეს.
ტურნირში მონაწილე ქართული საკალათბურთო გუნდები 2015 წელს ჩამოყალიბდა. ისინი დაკომპლექტებულია თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებით, რომლებსაც ავარჯიშებენ და მეურვეობენ სკოლის მანდატურები, ხოლო მათთან პერიოდულად სტუმრობს სამართალდამცავი და გუნდის წევრ მოზარდებთან საუბრობს ცხოვრების ჯანსაღი წესის, საზოგადოებრივი წესრიგის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათთან ერთად გეგმავს სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებს.
საკალათბურთო ტურნირი ხორციელდება პროგრამის „ვითამაშოთ კალათბურთი- საქართველო"-ს ფარგლებში, რომელსაც საქართველოში ორგანიზაცია «PH International» ახორციელებს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს გაერთიანებული საერთაშორისო სპორტული ინიციატივების განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით. ტურნირის ორგანიზატორი გახლდათ ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია და განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის






მხარდაჭერით.
მსგავსი ტიპის საკალათბურთო ინიციატივები საკმაოდ პოპულარულია აშშ-ში. სწორედ პროგრამის „ვითამაშოთ კალათბურთი - საქართველო"-ს ფარგლებში ხდება აშშ-ს გამოცდილების გაზიარება ადგილობრივ დონეზე. მსგავსი სპორტული პროგრამების განვითარება საქართველოში ხელს შეუწყობს ისეთი ახალგაზრდული სათემო სპორტული პროექტების განვითარებას, სადაც მწვრთნელებად და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორებად ჩაერთვებიან სკოლის მანდატურები და პოლიციის ოფიცრები, რომლებიც პირადი მაგალითის საფუძველზე ხელს შეუწყობენ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციას.

მთაწმინდის პარკში გამართული ტურნირი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ამერიკული გუნდები ნახევარფინალში დამარცხდნენ და ფინალი «ქართული» გამოვიდა.



## თბილისში სამუშაო ვიზიტად მყოფი ამერიკელები სპორტის მუზეუმს ესტუმრნენ

საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი ამერიკის ქალაქების - ალბანისა და ბაფალოს ახალგაზრდული გუნდები და კალათბურთის სპეციალისტები, რომლებიც ჩართულები არიან პროექტში - „ვითამაშოთ კალათბურთი - საქართველო", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის მუზეუმს ესტუმრნენ.
ამერიკელებმა დაათვალიერეს ქართველი სპორტსმენების მიერ მოპოვებული ტიტულები და ქართული სპორტის წარსულსა და მიღწევებზე ინფორმაცია მიიღეს.
ამერიკულ დელეგაციას მუზეუმში შეხვდა და აღნიშნული პროექტის მნიშვნელობაზე, თანამშრომლობის დადებით მხარეებზე ესაუბრა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე.
აღნიშნული პროექტი განხორციელდა ორგანიზაცია «PH International»-ის მეშვეობით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს გაერთიანებული საერთაშორისო სპორტული ინიციატივების განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით.





## სპორტის დღე და 3X3 კალათბურთი

სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით კუს ტბაზე მრავალი სპორტული ღონისძიება გაიმართა, რომელთა შორისაც საკუთარი ადგილი კალათბურთს ეკავა. 3X3 კალათბურთის ტურნირი მოზარდებს შორის კალათბურთის ეროვნული ფედერაციის შესაბამისი განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა.
კუს ტბაზე გაიშალა 3X3 კალათბურთის ევროსტანდარტების მოედანი, რომელზეც 2003 წელს დაბადებულთა ტურნირი ჩატარდა. გამარჯვებული გახდა საკალათბურთო აკადემიის გუნდი.
გამარჯვებულები სპეციალური თასითა და მედლებით კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 3X3 კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა გიგა გურგენიძემ დააჯილდოვა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა გიორგი დოლიძე, რომელსაც ასევე სპეციალური პრიზი გადაეცა.



## 3X3 კალათბურთის საერთაშორისო ტურნირი რომში

რომში გამართულ 15-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველო გუნდმა «WOW» წარმოადგინა, რომელმაც ტურნირის საგზური თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ფესტივალის მოგებით მოიპოვა. გუნდის წევრებმა: ბექა ხაჩიურმა, ნიკა ნადარეიშვილმა, სანდრო კარგარეთელმა და გიორგი ბურდილაძემ სპორტკომპლექს «არენაში» გამართულ ტურნირში 14 გუნდში პირველი ადგილი დაიკავეს.

რომში ჩატარებულ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 16 გუნდი მონაწილეობდა. საქართველო ჯგუფში ჩეხეთთან, ლიტვასთან და პუერტო რიკოსთან მოხვდა. ქართველებმა ჩეხეთის ძლიერ ნაკრებს მოუგეს და ჯგუფიდან გავიდნენ. პლეი ოფის პირველ წრეში ქართველებს მეტოქედ ინდონეზია ერგოთ, რომელთანაც დაძაბულ ბრძოლაში წააგეს და ტურნირზე საბოლოოდ მე-11 ადგილს დასჯერდნენ.

BORJOMI
BOTTLED IN GEORGIA



საერთაშორისო ღონისძიებები




## "TBILISI CHALLENGE 2015"

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდითა და თბილისის კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა 3X3 კალათბურთელთა შორის თბილისის ღია პირველობა, სახელწოდებით "Tbilisi Challenge 2015".

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს მოქმედმა და ყოფილმა კალათბურთელებმა, სულ მონაწილეობდა 16 გუნდი, რომლებიც 4 ქვეჯგუფში გადანაწილდნენ. ჯგუფური ეტაპის შემდეგ საუკეთესო 8 გუნდი პლეი ოფში გავიდა, რომლებმაც ტურნირის მეორე ეტაპზე იასპარეზეს.

ფინალში Euro Step(მერაბ ბოქოლიშვილი, აკაკი ლომოური, ილია ლონდარიძე, ზურაბ მაისურაძე) და L.R.G (მიხეილ ბერიშვილი, მიხეილ ფანჩულიძე, კირილე ტატუნაშვილი, დავით გასიტაშვილი) გავიდნენ. ფინალურ ბრძოლაში გამარჯვება L.R.G-ს დარჩა - 17:12.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა L.R.G-ის კალათბურთელი კირილე ტატუნაშვილი, 3-ქულიანების და ჩატენვების კონკურსები გრიგოლ შვანგირაძემ მოიგო, ტურნირის მხარდამჭერმა ''ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა'' კი თავისი რჩეული მოთამაშე გამოავლინა. ცენტრის სიმპათია ფინალისტი გუნდის მოთამაშე აკაკი ლომოური გახდა.

ტურნირის საპრიზო ფონდი 4000 ლარს შეადგენდა.

## ამერიკის გაცვლითი პროგრამა





ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით საქართველოში ამერიკის საელჩომ კალათბურთთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან კოორდინაციით ამერიკელებმა გაცვლითი პროგრამა განახორციელეს, რომლის ფარგლებშიც ქართველ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს ოკეანგაღმა გამგზავრებისა და იქაური გამოცდილების გაზიარების საშუალება მიეცათ.

მოთამაშეები საქართველოს მასშტაბით შეირჩნენ, რომლებსაც დაემატათ ახალგაზრდა მწვრთნელი ირაკლი ტომარაძე და ჯგუფი აშშ-ში გაემგზავრა. ქართველები გაეცნენ სპორტული ფიტნესის, კვების, კონფლიქტების მოგვარების ტექნოლოგიებს. 12 დღის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებში და აქტივობებში მონაწილეობასთან ერთად ჯგუფის წევრები ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მატჩს დაესწრნენ.

აშშ-ის საელჩომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, გულთბილი მადლობა გადაუხადა.



## ყატარის მედიატურნირი და პარა-კალათბურთი

საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაცია გასულ წელს თანამშრომლობა მოუხდა თბილისში ყატარის საკონსულოსთან. ამ აზიური ქვეყნის საკონსულოს ორგანიზებით 3X3 კალათბურთში მედიატურნირი ჩატარდა, რომლის მხარდამჭერიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციაც გახლდათ.

შეჯიბრებაში, რომელიც სპორტკომპლექს „არენაში" გაიმართა,ოთხი გუნდი მონაწილეობდა: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ტელემედია, «სპორტმედია» და «სარბიელი». სამინისტროს გუნდმა დაძაბულ 1/2-ფინალში «სპორტმედია» დაამარცხა, ფინალში კი ტელემედიას სძლია. გამარჯვებულები და ფინალისტები საქართველოში ყატარის სახელმწიფოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა იუნის ჰამზაჰაშიმმა თასით და მედლებით დააჯილდოვა. მედიატურნირის გარდა ასევე გაიმართა საჩვენებელი მატჩი პარა-კალათბურთში.

გამარჯვებულებმა ჩემპიონის თასი სამინისტროს შენობაში განთავსებულ ქართული სპორტის მუზეუმს გადასცეს.





## კოსტა ილიევის ვიზიტი



გასული წლის დეკემბერში თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ფიბა-ს ეროვნული ფედერაციებისა და სპორტის განვითარების მენეჯერი კოსტა ილიევი.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ფიბა-ს ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი წესდება, რომელშიც სრულად ასახულია ფიბა-ს მოთხოვნები და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

12 დეკემბერს, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძესთან და გენერალურ მდივან გიორგი ქართველიშვილთან ერთად კოსტა ილიევი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს შეხვდა, სადაც საუბარი წარიმართა ქართული კალათბურთის განვითარებაზე, სამომავლო გეგმებსა და ამოცანებზე. კოსტა ილიევთან და ზოგადად ფიბა-სთან ერთობლივად შემუშავებული საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი წესდება მოგვიანებით ფედერაციის ყრილობამ დაამტკიცა.

ვორდნისა
აუდიტორი კონცერნი



## ოქროს პერგამენტი

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები „ოქროს პერგამენტი 2014"-ის მფლობელი გახდა. ახალი ამბების სააგენტო GHN-მა წლის გამორჩეული ადამიანების, კომპანიებისა და პროექტების ტრადიციული დაჯილდოვება მოაწყო, რომელსაც დეკემბრის მიწურულს სამორინე „შანგრილამ" უმასპინძლა.

სააგენტო «GHN» 2006 წლიდან ატარებს გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც წლის ლაურიატები სახელდებიან. ამჯერად 2360 რესპოდენტი გამოიკითხა, მთლიანობაში კი 12 ლაურეატი გამოვლინდა. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წლის საუკეთესო სპორტული გუნდის ნომინაციაში გაიმარჯვა.

გალა-დაჯილდოვებაზე საქართველოს ნაკრებს მისი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გიორგი ცინცაძე, ეროვნული ნაკრების გენერალური მენეჯერი პაატა ლობჟანიძე და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტის უფროსი ალეკო პეტრიაშვილი წარმოადგენდნენ.

ლაურეატთათვის დაწესებული საგანგებო პრიზი გიორგი ცინცაძემ ჩაიბარა, რომელმაც ნაკრების წევრთა სახელით მადლობა გადაუხადა როგორც „ოქროს პერგამენტის" ორგანიზატორებს, ასევე გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტებს.

# სოციალური აქცია



სათნოების სახლ „კათარზისის“ აქციას „მე მიყვარს მოხუცები - მეც დავბერდები“ საკალათბურთო სუპერლიგის კალათბურთელებიც შეუერთდნენ. აქციაში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა სფეროს როგორც ცნობილი სახეები, ისე რიგითი მოქალაქეები.
სუპერლიგის პლეი ოფის მატჩის მონაწილეებმა სათნოების სახლ „კათარზისის“ აქციას „მეც დავბერდები - მე მიყვარს მოხუცები“ სოლიდარობა გამოუცხადეს.




# RED BULL KING OF THE ROCK

ზედიზედ მესამედ Red Bull King of the Rock-ის 4-წლიან ქართულ ისტორიაში ჩემპიონი ვახტანგ ქადარია გახდა. 2013-14 წლების სეზონში სუპერლიგის კლუბ ,,ქუთაისში''მოთამაშე ცენტრმა ერთი ერთზე კალათბურთში მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ტურნირის საქართველოს ფინალი კვლავ მოიგო.
მსოფლიოში ცნობილი ავსტრიული კომპანია Red Bull-ის ამიერკავკასიის ოფისი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით 2012 წლიდან ყოველ ზაფხულს ატარებს აღნიშნულ შეჯიბრებას. პირველი ტურნირის გამარჯვებული ვატო თევზაძე გახდა, რის შემდეგაც „კლდის მეფის“ ტიტული ზედიზედ სამჯერ ქადარიამ მოიგო.
პირველი ტურნირის მსგავსად, წლევანდელი გათამაშების ფინალიც თბილისში, მეტეხის ხიდზე გაიმართა. ღონისძიების პარტნიორები კალათბურთის ფედერაციასთან ერთად იყვნენ: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“და თბილისის მერია.
ფინალურ ტურნირს წინ უძღოდა შესარჩევი ტურები ქუთაისსა და თბილისში, საიდანაც 54-მა მონაწილემ მოიპოვა ფინალში ასპარეზობის უფლება. ამ რაოდენობას 10 ფავორიტი დაემატა, რომლებიც ორგანიზატორებმა ტურნირზე ,,უაილდ ქარდით'' დაუშვეს.
64 საუკეთესო 2 აგვისტოს მეტეხის ხიდზე შეიკრიბა და თბილისელებთან ერთად დედაქალაქის სტუმრებს ლამაზი შოუ შესთავაზა. ნარიყალასა და მეტეხის ტაძარს შორის მოქცეულ მოედანს მაყურებელი არ აკლდა. დედაქალაქის სტუმარი უცხოელები, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც კალათბურთი უყვარს, ხანგრძლივად ჩერდებოდნენ მეტეხის ხიდთან და ინტერესით ადევნებდნენ თვალს დაძაბულ ორთაბრძოლებს.
ფინალურ მატჩში ქადარიას ახალგაზრდა ირაკლი ჯანხოთელი შეხვდა, რომელმაც უდიდესი ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე ფინალამდე არაერთი ძლიერი და ტანმაღალი მოთამაშე დაამარცხა. თუმცა ფინალურ მატჩში ჯანხოთელს ქადარიასთან შანსი არ ჰქონია. ამ უკანასკნელმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.
ფინალში გასულ მოთამაშეებს სპორტული მედიცინის კლინიკისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრ ,,ასპრიასგან'' სერვისით მომსახურების ვაუჩერები გადაეცათ. ასპრიამ 2-თვიანი აბონემენტით დააჯილდოვა ასევე ნახევარფინალში დამარცხებული 2 მოთამაშეც - გიორგი ვახანია და ვიქტორ კოლუაშვილი.





# ვითამაშოთ კალათბურთი - საქართველო GE-PLAY

გასული წელი კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და საქართველოში ამერიკის საელჩოს მჭიდრო თანამშრომლობით გამოირჩა. ორგანიზაცია PH International-ის ფილიალმა საქართველოში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს (ECA) გაერთიანებული საერთაშორისო სპორტული ინიციატივების განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით ახალ პროგრამა წამოიწყო, რომლის სახელწოდებაც გახლდათ „ვითამაშოთ კალათბურთი - საქართველო“ (GE-PLAY).
აღნიშნული გაცვლითი პროგრამით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა, საშეჯიბრო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ზაბახიძე და საკალათბურთო კლუბ „ქუთაისის“ მწვრთნელი მედეა მხეიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ.
პროგრამა მიზნად ისახავდა ახალგაზრდული სათემო სპორტული პროექტების განვითარების ხელშეწყობას, სადაც მწვრთნელებად და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორებად ჩაერთვებიან პოლიციის ოფიცრები, რომლებიც პირადი მაგალითის საფუძველზე ხელს შეუწყობენ ახალგაზრდებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და ადგილობრივი თემის როლის ზრდას საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში.
გასული წლის თებერვალ-მარტში საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და სხვა სტრუქტურების წარმომადგენელთაგან შექმნილი 11-კაციანი სამუშაო ჯგუფი 2 კვირით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ჯგუფის წევრები ისეთ სასკოლო სპორტულ პროგრამებს და კერძო საკალათბურთო სპორტულ ინიციატივებს გაეცნენ, რომლებსაც ამერიკაში პოლიციის ოფიცრები უდგანან სათავეში. ასეთი ინიციატივების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი მოზარდთა შორის დანაშაულის პრევენციაა.
სამუშაო ჯგუფის წევრები ასევე შეხვდნენ გამოცდილ ამერიკელ პოლიციელებს, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური მოვალეობების პარალელურად უძღვებიან (წვრთნიან) სკოლის მოსწავლეთა პროფესიული სამოყვარულო საკალათბურთო გუნდებს და ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს. პროგრამის ფარგლებში ქართველები იმ ამერიკულ ორგანიზაციებს (მათ შორის პოლიციელთა ათლეტურ ლიგას (The Police Athletic League) შეხვდნენ და მათი გამოცდილება გაიზიარეს, რომლებიც მხარს უჭერენ ზემოთხსენებული სპორტული ინიციატივების წახალისებას.
ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ქართულმა სამუშაო ჯგუფმა საქართველოშიც გააგრძელა ფუნქციონირება და მიღებული გამოცდილების საფუძველზე გასული წლის მეორე ნახევარში რამდენიმე შემეცნებითი პროექტი განახორციელა.



## საანგარიშო ყრილობა



15 დეკემბერს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სააქტო დარბაზში საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო ყრილობა გაიმართა. ყრილობამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო - მიღებულ იქნა ფედერაციის ახალი წესდება, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობა ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად კალათბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ - ფიბამ და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მიიღეს.
ახალი წესდების განხილვა ყრილობაზე დეტალურად მოხდა. წესდებაში ყველა ის რეკომენდაცია და რჩევაა გათვალისწინებული, რომელიც ფიბა-სგან მოდიოდა და იგი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. წესდების მიღებას ყრილობის 37 დელეგატიდან 34-მა დაუჭირა მხარი, 3-მა დელეგატმა კი თავი შეიკავა.
ყრილობის მეორე ნაწილი გასული წლის ანგარიშს დაეთმო, რომელიც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა მოამზადა. გენმდივანმა ყრილობის დელეგატებს გასულ წელს ჩატარებული საქმიანობის დეტალური ანგარიში წარუდგინა.
ყრილობის მიერ საანგარიშო წელს გაწეული მუშაობა დადებითად შეფასდა.











## საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირი

2015 წელს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და მწვრთნელთა კავშირის მიერ ორგანიზებული მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამის პირველი ეტაპი განხორციელდა. პროგრამაში მონაწილე კალათბურთის წარმატებულ მწვრთნელებს შესაბამისი ლიცენზიები დაურიგდათ.

მწვრთნელებმა გაიარეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სემინარები. მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროცესს წარუძღვნენ კალათბურთის ცნობილი ქართველი სპეციალისტები: ანტონ კაზანჯიანი, ზურა ტომარაძე, გელა წულაძე, დავით უსტიაშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი. ლიცენზიების მიღების მსურველებმა ასევე მოისმინეს სემინარები სპორტულ მედიცინასა და ფიზ-მომზადებაში შესაბამისი ქართველი სპეციალისტებისგან. პროექტის განხორციელების ორგანიზებას უწევდა მწვრთნელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ავალიშვილი.

მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამის პირველი ეტაპის შედეგად ლიცენზია მთლიანობაში საქართველოს ცხრა რეგიონის 161-მა მწვრთნელმა მიიღო. დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელთათვის ლიცენზიები საზეიმოდ გადაეცათ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.

ლიცენზიებთან ერთად მწვრთნელებს დაურიგდათ თბილისში გამართული ესპანური გუნდის, „ლაბორალკუჩას“ სპეციალისტების მიერ ჩატარებული სამწვრთნელო სემინარების ვიდეო-ვერსია.





# თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის 2-წლიანი ანგარიში

2 ივნისს „დიდუბე პლაზამ" თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის საანგარიშო ყრილობას უმასპინძლა. კავშირის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა დამსწრეებს 2-წლიანი ანგარიში ჩააბარა.

„დიდუბე პლაზაში" თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის წევრებთან ერთად იმ ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლები მოვიდნენ, რომლებიც სხვადასხვა ჩემპიონატებისა და ღონისძიებების ჩატარებაში კავშირს გვერდში უდგანან.

ესენი არიან: საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, თბილისის მერია, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის" ეროვნული ცენტრი, კომპანიები „ბორჯომი", „პალიტრა მედია", „ბენე", „ფოტო პლაზა".





პაატა გურასპაულმა დამსწრე საზოგადოებას კონკრეტული ციფრები დაუსახელა, თუ რამდენი ტურნირი ჩატარდა გასული 2 წლის მანძილზე და მათში რამდენი გუნდი, თუ მოთამაშე მონაწილეობდა. კავშირის ხელმძღვანელობას განსაკუთრებულად მიაჩნია ის ტრადიცია, რაც 20-წლიანი პაუზის შემდეგ აღდგა: განახლდა დედაქალაქის ჩემპიონატები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში.

საკალათბურთო საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარების შემდეგ კავშირის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა ზემოთ ნახსენები მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლები მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.





# თბილისის ბ- ლიგა

მესამე წელია, თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან მჭიდროდ თანამშრომლობს. ვეტერანი კალათბურთელის, პაატა გურასპაულის თაოსნობით დედაქალაქის კალათბურთის განვითარების კავშირი ასაკობრივ ჩემპიონატებს ატარებს, რომლებში მონაწილეთა რიცხვიც წლიდან წლამდე იზრდება.

კალათბურთის განვითარების კავშირის ორგანიზებით გასულ სეზონში თბილისის ჩემპიონატები 3 ასაკში - 14, 16 და 18 წლამდელებში ჩატარდა. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბავშვთა მინი-საკალათბურთო ფესტივალებს, რომელიც ტრადიციულად 11 და 12 წლის მოზარდებში ტარდება.





ჩამოთვლილ ტურნირებთან ერთად თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა იმ გუნდებისთვის, რომლებიც დედაქალაქის ჩემპიონატებში საუკეთესო რვეულს მიღმა დარჩნენ და საქართველოს პირველობაზე ვერ გავიდნენ, ეგრეთ წოდებული „ბ" ლიგა ჩაატარა. შესაბამისად, დედაქალაქის ჩემპიონატის მოწინავე გუნდებმა ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში გადაინაცვლეს, ხოლო მასში ვერმოხვედრილებს მთელი სეზონის განმავლობაში „ბ" ლიგაში ასპარეზობისა და ამით დიდი სათამაშო გამოცდილების მიღების შანსი მიეცათ.



# ბავშვთა ასაკობრივი ტურნირები

ბავშვთა ასაკებში ტურნირებმა „აკადემიის“ დომინირებით ჩაიარა. ამ გუნდმა მოიგო როგორც 2003, ისე 2004 წელს დაბადებულთა თბილისის მინი-საკალათბურთო ფესტივალი. აკადემიელთა გამარჯვებით დასრულდა თბილისის 14-წლამდელთა ჩემპიონატიც. რაც შეეხება დედაქალაქის სხვა ასაკის ჩემპიონებს: 16-წლამდელთა ფინალში „ჰიუნდაიმ“ 67:59 სძლია „აკადემიას“, ხოლო 18-წლამდელებში ჩემპიონობა ისევ აკადემიელებს დარჩათ. ფინალში გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა „მართვე“ 50 ქულით გაანადგურა - 107:57.

თბილისის ჩემპიონატების საუკეთესო 8-8 გუნდი საქართველოს პირველობაზე გადავიდა, ხოლო რვეულსმიღმა დარჩენილებმა შესაბამის ასაკებში „ბ“ ლიგაში იასპარეზეს. 14-წლამდელთა „ბ“ ლიგის გამარჯვებული გახდა კლუბი „სოხუმი“, რომელმაც ფინალში „იმედი“ 75:59 დაამარცხა. 16-წლამდელებში გამარჯვება „ორბს“ დარჩა, რომელმაც „დინამოს“ 64:50 სძლია. 18-წლამდელთა ფინალში „რუსთავი“ და „მართვე“ დაუპირისპირდნენ. გამარჯვება მართველებს დარჩათ, რომლებმაც ქვემოქართლელები 92:72 დაამარცხეს.

მთლიანობაში თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, თბილისის მერიასთან და სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით გასულ სეზონში 8 ტურნირი ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობაც 1000-ამდე მოზარდმა მიიღო.







სატურნირო ცხრილი

2003-წლიანთა თბილისის ფესტივალი

| | ა ჯგუფი | | | | | მ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | | 42:29 | 41:30 | 30:47 | 2 | 1 | 113:106 | 5 | 2 |
| 2 | იბერი | 29:42 | | 33:34 | 29:62 | 0 | 3 | 91:138 | 3 | 4 |
| 3 | მართვე | 30:41 | 34:33 | | 31:66 | 1 | 2 | 95:140 | 4 | 3 |
| 4 | აკადემია | 47:30 | 62:29 | 66:31 | | 3 | 0 | 175:90 | 6 | 1 |

| | ბ ჯგუფი | | | | | მ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აქსე | | 43:20 | 32:45 | 47:27 | 2 | 1 | 119:92 | 5 | 2 |
| 2 | აკადემია 2 | 20:43 | | 17:58 | 18:46 | 0 | 3 | 55:147 | 3 | 4 |
| 3 | ოვერტაიმი | 45:32 | 58:17 | | 61:45 | 3 | 0 | 164:94 | 6 | 1 |
| 4 | მაკაბი | 27:47 | 46:18 | 45:61 | | 1 | 2 | 118:126 | 4 | 3 |




1/4

| | |
|---|---|
| აკადემია | 71 |
| აკადემია 2 | 22 |
| აქსე | 60 |
| მართვე | 61 |
| ოვერტაიმი | 33 |
| იბერი | 25 |
| დინამო | 39 |
| მაკაბი | 37 |

1/2

| | |
|---|---|
| აკადემია | 79 |
| მართვე | 40 |
| დინამო | 51 |
| ოვერტაიმი | 21 |

ფინალი

| | |
|---|---|
| აკადემია | 57 |
| ოვერტაიმი | 38 |

მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| მართვე | 25 |
| დინამო | 53 |

## სატურნირო ცხრილი

| 2004-წლიანთა თბილისის ფესტივალი | ა ჯგუფი | | | | | თ | მ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰიუნდაი | | 0:20 | 52:16 | 32:29 | 52:10 | 4 | 3 | 1 | 136:57 | 7 | 1 |
| 2 აქსე | 20:0 | | 25:30 | 40:46 | 48:17 | 4 | 2 | 2 | 115:93 | 6 | 4 |
| 3 ოვერტაიმი | 16:52 | 30:25 | | 32:24 | 39:15 | 4 | 3 | 1 | 117:116 | 7 | 2 |
| 4 აკადემია 2 | 29:32 | 46:40 | 24:32 | | 48:9 | 4 | 2 | 2 | 147:113 | 6 | 3 |
| 5 ორბი | 10:52 | 17:48 | 15:39 | 9:48 | | 4 | 0 | 4 | 51:187 | 4 | 5 |

| | ბ ჯგუფი | | | | | თ | მ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 აკადემია | | 43:20 | 7:39 | 32:24 | 20:0 | 4 | 4 | 0 | 120:83 | 8 | 1 |
| 2 თსსუ | 20:43 | | 26:25 | 20:32 | 20:0 | 4 | 2 | 2 | 86:100 | 6 | 3 |
| 3 ვარსკვლავები | 39:7 | 25:26 | | 4:18 | 20:0 | 4 | 1 | 3 | 88:51 | 5 | 4 |
| 4 იბერი | 24:32 | 32:20 | 18:4 | | 20:0 | 4 | 3 | 1 | 94:56 | 7 | 2 |
| 5 დინამო | 0:20 | 0:20 | 0:20 | 0:20 | | 4 | 0 | 4 | 0:80 | 0 | 5 |




### 1/4

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი | 51 |
| ვარსკვლავები | 8 |
| იბერი | 34 |
| აკადემია 2 | 20 |
| აკადემია 1 | 47 |
| აქსე | 26 |
| ოვერტაიმი | 35 |
| თსსუ | 26 |

### 1/2

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი | 31 |
| იბერი | 28 |
| აკადემია 1 | 44 |
| ოვერტაიმი | 26 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი | 44 |
| აკადემია 1 | 47 |

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| იბერი | 27 |
| ოვერტაიმი | 21 |





## თბილისის 18-წლამდელთა ჩემპიონატი

### 1/4

| | |
|---|---|
| ა1 | აკადემია |
| 16 | ჰიუნდაი |
| ბ2 | ვესტა 1 |
| გ2 | შსს |
| ბ1 | იბერი |
| 2წ | თსსუ |
| გ1 | მგზავრები |
| ა2 | მართვე |

### 1/2

| | |
|---|---|
| აკადემია | 75 |
| შსს | 57 |
| იბერი | 72 |
| მართვე | 86 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| აკადემია | 107 |
| მართვე | 57 |

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| შსს | 57 |
| იბერი | 50 |

## თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონატი

### 1/4

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი | 124 |
| მგზავრები | 41 |
| ჰიუნდაი 3 | 76 |
| მართვე-ზაზა | 57 |
| ორბი | 67 |
| აკადემია | 71 |
| იბერი | 77 |
| აკადემია 2 | 65 |

### 1/2

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი | 67 |
| ჰიუნდაი 3 | 75 |
| აკადემია | 86 |
| იბერი | 52 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი 3 | 67 |
| აკადემია | 59 |

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი | 104 |
| იბერი | 56 |

## თბილისის 14-წლამდელთა ჩემპიონატი

### 1/2

| | |
|---|---|
| ორბი | 63 |
| იბერი | 66 |
| აკადემია | 91 |
| მართვე | 42 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| იბერი | 93 |
| აკადემია | 106 |

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ორბი | 78 |
| მართვე | 62 |

## ბ-18

### 1/4

| | |
|---|---|
| მართვე 2 | 81 |
| იბერი | 46 |
| მართვე | 68 |
| აკადემია | 49 |
| თსუ 2 | 54 |
| გორი | 72 |
| ჰიუნდაი | 46 |
| რუსთავი | 59 |

### 1/2

| | |
|---|---|
| მართვე 2 | 67 |
| მართვე | 54 |
| რუსთავი | 61 |
| გორი | 49 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| მართვე 2 | 92 |
| რუსთავი | 72 |

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| მართვე | 82 |
| გორი | 75 |

## ბ-16

### 1/4

| | |
|---|---|
| გორი | 90 |
| დინამო | 95 |
| ბასტიონი | 60 |
| მართვე | 53 |
| თსუ 2 | 59 |
| თსუ | 60 |
| ორბი | 60 |
| მართვე 2 | 53 |

### 1/2

| | |
|---|---|
| დინამო | 66 |
| ბასტიონი | 40 |
| თსუ | 65 |
| ორბი | 72 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| დინამო | 50 |
| ორბი | 64 |

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ბასტიონი | 76 |
| თსუ | 56 |

## ბ-14/13

### 1/4

| | |
|---|---|
| სოხუმი | 93 |
| აკადემია 2 | 21 |
| ჰიუნდაი | 51 |
| შევარდენი | 26 |
| იმედი | 49 |
| ვესტა | 40 |
| ოვერტაიმი | 50 |
| ორბი | 59 |

### 1/2

| | |
|---|---|
| სოხუმი | 65 |
| ჰიუნდაი | 55 |
| იმედი | 71 |
| ორბი | 56 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| სოხუმი | 75 |
| იმედი | 59 |

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ჰიუნდაი | 0 |
| ორბი | 20 |

# ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი

## მსოფლიო ჩემპიონატი

2015 წელს საქართველოს ვეტერანთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა. საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდნენ ვეტერანი კალათბურთელები დავით გიორგობიანი, პაატა გურასპაული, ზაზა ღონღაძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გია სანაძე, გია ბერუაშვილი, ილია კეჭაყმაძე, ლევან წულაია, ალექსანდრე ფერიაშვილი და სხვანი. ორლანდოში ჩატარებულ ტურნირზე 5 მატჩი მოიგო და მხოლოდ 1, ჯგუფიდან გამსვლელი მატჩი დათმო ჩეხეთის ნაკრებთან და საბოლოოდ მე-9 ადგილს დასჯერდა.

ქართველმა ვეტერანებმა ამერიკაში საკვანძო, პლეი ოფში გადასასვლელი მატჩი წააგეს, თორემ მთლიანობაში უშედეგოდ არ უასპარეზიათ. საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა ჩილეს, ვენესუელას, კოლუმბიის, სერბეთის და პოლონეთის ნაკრებები. ერთადერთი წაგება ქართველებმა ჩეხეთთან განიცადეს და ამის გამო პლეი ოფის საგზური ვერ მოიპოვეს.



ვეტერანთა ნაკრები, რომელსაც ცნობილი ვეტერანი ნოდარ ქორქია წვრთნის, ვარჯიშს მომავალშიც გააგრძელებს და ეცდება, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებს არ გამოაკლდეს.

### ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის საბანკო ანგარიში

ს.ს. **თი.ბი.სი** ბანკის საბანკო კოდი TBCBGE22

ააიპ «ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი»

ანგარიშსწორების ანგარიში GE82TB0865236080100002

გთხოვთ ფონდს გაუწიოთ ფინანსური თანადგომა

საკონტაქტო ტელეფონი: (+99532) 229 03 14

(+99532) 291 33 54








## ლევან მოსეშვილი

სახელგანთქმულ ქართველ კალათბურთელსა და მწვრთნელს, 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანს, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ლევან მოსეშვილს 75 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით იუბილარს საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უმასპინძლა. ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ლევან მოსეშვილი ოლიმპიური კომიტეტის მედლით, შესაბამისი დიპლომითა და ფულადი პრემიით დაასაჩუქრა. აგრეთვე მას გადაეცა ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის ხუთტომეული "ხუთი რგოლი საქართველოსთვის".

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კახა შენგელიამ დამსახურებულ მწვრთნელს ფედერაციის სახელით გადასცა სიგელი, ნაკრების სიმბოლური მაისური, წარწერით "მოსეშვილი 75" და ორი საგზური ევროპის 2015 წლის ჩემპიონატზე, ხორვატიაში.

ლევან მოსეშვილს თბილი სიტყვებით მიმართეს ვეტერანმა კალათბურთელებმა ანტონ კაზანჯიანმა, ვალერი ლომაძემ და გივი ბიჭიაშვილმა.

## ანტონ კაზანჯიანი

ცნობილი ქართველი კალათბურთელი და მწვრთნელი, ფიზიკური აღზრდის პედაგოგიკის პროფესორი, ანტონ კაზანჯიანს 75 წელი შეუსრულდა.

75



# ჩემპიონატებსა და ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდები წლების მიხედვით

| | | | |
|---|---|---|---|
| სუპერლიგა: | 1991 დინამო | 1999-00 ბასკო | 2007-08 ენერჯი ინვესტი |
| | 1992-93 ვითა | 2000-01 ბასკო | 2008-09 ენერჯი ინვესტი |
| | 1993-1994 ვითა | 2001-02 ბასკო | 2009-10 ენერჯი ინვესტი |
| | 1994-1995 ვითა | 2002-03 დინამო | 2010-11 არმია |
| | 1995-1996 ვითა | 2003-04 ბასკო | 2011-12 არმია |
| | 1996-97 ვითა | 2004-05 სტუ ჯეოსელი | 2012-13 შსს აკადემია |
| | 1997-98 ვითა | 2005-06 თბილავიამშენი | 2013-14 დინამო |
| | 1998-99 ვითა | 2006-07 ენერჯი ინვესტი | 2014-15 შსს აკადემია |
| ა-ლიგა: | 2014-15 არენა 76 | | |
| 20-წლამდელთა ჩემპიონატი: | 2008-09 რუსთავი | 2011-12 სოხუმი | 2014-15 ოლიმპი |
| | 2009-10 რუსთავი | 2012-13 სოხუმი | |
| | 2010-11 სტუ | 2013-14 შსს აკადემია | |
| 18-წლამდელთა ჩემპიონატი: | 2008-09 აკადემია | 2011-12 ქუთაისი | 2014-15 აკადემია |
| | 2009-10 აკადემია | 2012-13 ჰიუნდაი | |
| | 2010-11 სოხუმი | 2013-14 აკადემია | |
| 16-წლამდელთა ჩემპიონატი: | 2008-09 ქუთაისი | 2011-12 აკადემია | 2014-15 ჰიუნდაი |
| | 2009-10 ქუთაისი | 2012-13 შსს აკადემია | |
| | 2010-11 აკადემია | 2013-14 -აკადემია | |
| დუდუ დადიანის მემორიალი: | 2002 - დინამო | 2007 ენერჯი ინვესტი | 2012 არმია |
| | 2003 სტუ ჯეოსელი | 2008 ენერჯი ინვესტი | 2013 სოხუმი |
| | 2004 სტუ ჯეოსელი | 2009 ენერჯი | 2014 რუსთავი |
| | 2005 ავიამშენი | 2010 ენერჯი ინვესტი | |
| | 2006 ენერჯი ინვესტი | 2011 ქუთაისი | |
| ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი: | 2006 რუსთავი | 2010 ენერჯი ინვესტი | 2014 დინამო |
| | 2007 ენერჯი ინვესტი | 2011 თსუ | 2015 შსს აკადემია |
| | 2008 თბილავიამშენი | 2012 არმია | |
| | 2009 ენერჯი ინვესტი | 2013 ოლიმპი | |
| საქართველოს თასი: | 2003 ბასკო | 2008 თბილავიამშენი | 2013 შსს აკადემია |
| | 2004 დინამო | 2009 ენერჯი ინვესტი | 2014 ქუთაისი |
| | 2005 სტუ | 2010 სსაუ | 2015 დინამო |
| | 2006 თსუ ნიკორა | 2011 არმია | |
| | 2007 თბილავიამშენი | 2012 არმია | |
| სუპერთასი: | 2006 თსუ ნიკორა | 2010 სსაუ | 2014 ქუთაისი |
| | 2007 აზოტი | 2011 არმია | 2015 შსს აკადემია |
| | 2008 ენერჯი ინვესტი | 2012 არმია | |
| | 2009 ავიამშენი | 2013 ოლიმპი | |





## საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის


ნატახტარი
ბორჯომი
HYUNDAI
PSP №1
ბოდბისა
europe-bet.com
VITABIOTICS
BASKONIA
Trawellin'
TBILISI MALL
SEU GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY
PH international
WORLDSPORT.GE
MYVIDEO
SPORTALL.GE
ALLSPORT.GE
GEOSPORTS.GE
FANEBI.COM
NEWS.GE
MYAUTO.GE
MYMARKET.GE
STARVISION WATCH.LISTEN.READ.
PALITRATV.GE
KVIRISPALITRA.GE
ADAMI.GE
JAK 96.3 FM
IMEDI.FM
FM 106.4
Radio Commersant FM 95.5